კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

რაფაელ ბოშიშვილი

დამნაშავის რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის მიზანი

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალექსანდრე გიორგაძე

სამართლის დოქტორი,ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019 წელი

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ემსახურება დამნაშავის რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის მიზნის სიღრმისეულ შესწავლასა და აღნიშნულ ნორმასთან დაკავშირებული მექანიზმების შემუშავებას. სასჯელი, ეს არის სახელმწიფოს იძულებითი ღონისძიება. ის, არის სახელმწიფოს ბერკეტი, რათა უზრუნველყოს ქვეყნის ტერიტორიაზე სამართალდამრღვევთა და დამნაშავეთა გამორკვევა, დასჯა.

სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის ტენდენციების გათვალისწინებით, რათქმა უნდა, შემცირდა და უფრო ლიბერალური გახდა სასჯელის ზომები. მაგრამ საინტერესოა, უზრუნველყოფს კი ეს სასჯელის მიზნების განხორციელებას, რომლებიც არის სასჯელის მთავარი დანიშნულება. თუ სასჯელი იქნება მხოლოდ სამაგიეროს გადახდისათვის გამოყენებული, მაშინ აზრი არ აქვს საერთოდ ქვეყნის მიმართულებას, რასაც დემოკრატია და სოციალური სახელმწიფო ჰქვია. სასჯელი მაშინ არის კარგი, თუ გამართლებულია მისი გამოყენება.

თანამედროვე სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის მიზნები სულ სხვა რედაქციითა და თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი, კერძოდ 39-ე მუხლის მიხედვით ჩამოყალიბებულია სასჯელის მიზნები. სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება. სასჯელის მიზნები ხორციელდება მსჯავრდებულზე ან სხვა პირზე.

სამაგისტრო ნაშრომი ემსახურება იმ ერთ და ჭეშმარიტ მიზანს, როგორიცაა თვალსაჩინოდ წარმოჩენა სასჯელის უმთავრესი მიზნის, რესოციალიზაციისა.

Annotation

The present Master's Thesis serves to study the perpetual investigation of the offender's resocialization as a penalty objective and to elaborate mechanisms relating to this norm. Punishment, this is a state of coercive measure. It is the state's leverage to ensure that the offender and the perpetrators of the country are punished.

Taking into consideration the criminal liberalization trends, it has to be reduced and more liberal than the sentence measures. But it is interesting to ensure that the purpose of this sentence is the main purpose of the sentence. If the penalty is used only for reimbursement, then there is no point in the direction of the country, which is called democracy and social state. The punishment is then good if it is justified. T

he purpose of the penalty prescribed by the modern Criminal Code is entirely different from the edition and sequence, namely, Article 39 of the Penalty Goals is set out. The goal of the sentencing is to restore justice, to prevent new crime and resocialize the offender. The aim of the sentence is not physical suffering or humiliation of the human being. Punishment aims at the convict or other person.

The master's thesis serves one and the true purpose, such as the visible purpose of the penalty, re-socialization.

შინაარსი

ანოტაცია 2

Annotation 3

შესავალი 5

თავი I. რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზნის ცნება და ადგილი სასჯელის მიზნებს შორის 8

1.1 რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზნის ცნება და ადგილი სამართლებრივ სისტემაში 8

1.2 რესოციალიზაციის კავშირი სასჯელის სხვა მიზნებთან 13

თავი II. რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ჭრილში 15

2.1 სამართლებრივი სახელმწიფოს როლი რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის მიზნის მიღწევისას 15

2.2 კრიმინოლოგია და რესოციალიზაცია 20

თავი III. რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი და სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა (ანალიზი) 26

3.1 რესოციალიზაცია ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დროს 26

3.2 რესოციალიზაცია უვადო თავისუფლების აღკვეთის დროს 33

3.3 რესოციალიზაცია ზოგიერთ არასაპატიმრო სასჯელთა გამოყენების დროს 35

ა) ჯარიმა 36

ბ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 38

გ) შინაპატიმრობა 42

დ) პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება 48

ე) ამნისტია 51

თავი IV. რესოციალიზაცია სხვა ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით (შედარებითი ანალიზი) 54

4.1 რესოციალიზაცია გერმანიის ფედერაციის კანონმდებლობის მიხედვით 54

4.2 რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის კანონმდებლობის მიხედვით 58

დასკვნა 63

გამოყენებული ლიტერატურა 67

შესავალი

თემის აქტუალობა. რესოციალიზაციას, როგორც სასჯელის მიზანს, ყველაზე ღირებული მნიშვნელობა გააჩნია სასჯელის მიზნებს შორის. კანონმდებლობის მიხედვით იგი ბოლო ადგილზეა, სამართლიანობის აღდგენის და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების შემდეგ. საკამათოა კანონმდებლის ნება, თუ რატომ მოაქცია მან იგი სულ ბოლოში. იგი არის უმთავრესი სასჯელის მიზანი. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი კი შესანიშნავი მაგალითია, თუ როგორ უნდა დასახო სასჯელის მიზნები, რადგან თუ არ მოხდა მსჯავრდებული პირის რესოციალიზაცია, გამოსწორება, სოციალური კუთვნილებებისა და ღირებულებებისაკენ შემობრუნება, მაშინ საერთოდ სასჯელს ეკარგება აზრი.

თემის აქტუალობიდან გამომდინარე ნაშრომში წარმოდგენილია რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის ერთ-ერთი და მთავარი მიზნის ისტორიული განვითარება, მისი კავშირი და განსხვავებები სასჯელის სხვა მიზნებთან. მიუხედავად იმისა, რომ ის სასჯელის უმთავრესი მიზანია, მხოლოდ ის ვერ იქნება გარანტი სასჯელის მიზნების განხორციელებისა, ამიტომ საჭიროა განხილულ იქნეს სხვა სასჯელის მიზნების დეფინიციები და საკანონმდებლო გარანტიები.

აგრეთვე, აქტუალურია, სახელმწიფოს როლი სასჯელის მიზნის, რესოციალიზაციის პროცესში, მის როლზე მსჯავრდებული პირისათვის სოციალურ, დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოებში.

კვლევის მიზანი და ამოცანები დასმული საკითხის მიზანს წარმოადგენს იმ პრობლემების დადგენა, მათი სამართლებრივი შეფასება და შესაბამისი სამართლებრივი რეკომენდაციებისა თუ სამართლებრივი ცვლილებების შემუშავება, რომლებიც წარმოიშვება დამნაშავის რესოციალიზაციის შედეგად.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ მნიშვნელოვანია ხალხის დამოკიდებულება ზოგადად სასჯელის მიმართ, მითუმეტეს დამნაშავის რესოციალიზაციის დროს, ვინაიდან უფრო დიდი როლი მსჯავრდებულის

რესოციალიზაციაში, აქვს ხალხს.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, შეესაბამება თუ არა კანონმდებლობა ზოგადად სასჯელის მიზნებს და კონკრეტულად რესოციალიზაციას. ხდება თუ არა მსჯავრდებულის გამოსწორება სასჯელის რიგი სახეების გამოყენების დროს. მეტად საჭირო და საკამათო საკითხის განხილვით, როგორიცაა თავისუფლების აღკვეთა, განსაკუთრებით კი უვადო თავისუფლების აღკვეთა, წამოიჭრება რიგი პრობლემები თვალსაჩინოდ, თუ რატომ არის ის რესოციალიზაციის რევერსია. აგრეთვე განიხილება რესოციალიზაციის კავშირი სასჯელის ზოგიერთ სახესთან, რომლებიც უფრო მეტად აქტუალურია და ხშირად გამოყენებადია.

ქართული სისხლის სამართლის და ზოგადად კანონმდებლობა არ არის სრულყოფილი და კიდევ დიდი სამუშაოა გასაწევი, რომ სრულოფილებასთან ახლოს მივიდეთ. ამიტომ, კვლევის ამოცანას წარმოადგენს, რიგი ქვეყნების კანონმდებლობის განხილვა, რომელთაც გარკვეულწილად გააჩნიათ ამბიცია და მათი სამართლებრივი მდგომარეობა იდეალურთან ახლოს დგას.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევაში წარმოდგენილია პრობლემის განხილვის თეორიული, პრაქტიკული და მეცნიერული ანალიზი. ნაშრომში ასევე არის მსჯელობა სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკაზე, განხილულია საკვლევი საკითხის პრობლემატიკა და წარმოდგენილია შედარებითი ანალიზი ქართულ სამართალთან მიმართებაში.

კვლევის შედეგი. კვლევის შედეგი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ნაშრომის შესრულებისას. ვინაიდან, აღნიშნული კვლევას მივყავართ იმ შედეგებამდე, რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს ჩვენი კანონმდებლობის მანკიერი თუ დადებითი მხარეები. კვლევის შედეგად შესაძლებელია იმის გარკვევა, თუ რამდენად სწორად ვავითარებთ პოლიტიკას ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. ასევე, გავერკვევით დეტალურად, რა მხრივ არის პრობლემა მოსაგვარებელი. დავინახავთ რას გვეუბნება პრაქტიკა დამნაშავის დაცვის

სადარაჯოზე და როგორ ხდება საერთაშორისო სამართლის კანონმდებლობით. ასევე გავიგებთ სხვა განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა როგორ არეგულირებს დასმულ საკითხს, როგორ მოხდა ჩვენს ქვეყანაში ამ მაგალითების გამოყენება და პრაქტიკაში დამკვირდება.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია თაბახზე ნაბეჭდ 71 გვერდზე. ნაშრომი შედგება შესავალის, ოთხი თავის და დასკვნისაგან. თავები დაყოფილია ქვეთავებად. ნაშრომს ახლავს გამოყენებული ლიტერატურა.

თავი I. რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზნის ცნება და ადგილი სასჯელის მიზნებს შორის

1.1 რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზნის ცნება და ადგილი სამართლებრივ სისტემაში

სასჯელი, სახელმწიფოს ძალაუფლება, ზემოქმედება. ეს ყველაფერი თანამედროვე სახელმწიფოებრიობის განუყოფელი ნაწილია. სასჯელის დანიშვნა, მისი განხორციელება შეუძლებელი იქნება მიზნების არებობსის შემთხვევაში, როდესაც დაისჯება პიროვნება ისე, რომ ვერც სახელმწიფო, ვერც სოციუმი, ვერ მიხვდება თუ რატომ მოხდა ამა თუ იმ პირის დასჯა. ადრე, ასეთი მიზანი გამოიხატებოდა ხალხის დაშინებაში, რომ დამნაშავის დასჯის შემდეგ ეს სამაგალითო ყოფილიყო სხვისთვის. ამიტომაც სასჯელის განხორციელება ხდებოდა სახალხოდ. სასჯელის მიზნების განხილვამდე აუცილებელია სასჯელებისა და მისი მიზნების ისტორიის შეხება, მათი მოკლე განხილვა მაინც, რათა ადვილად გახდეს შესაძლებელი სასჯელის მიზნების დროთა განმავლობაში განვითარება, რომელიც დღევანდელს ნაწილობრივ გავს.[1]

საქართველოში ძველად არსებული სასჯელებიდან გამოსარჩევია სიკვდილით დასჯა, რომელიც XX საუკუნის მიწურულს გაუქმდა, სხეულის დამასახიჩრებელი სასჯელები, გაძევება, მტკივნეული სასჯელები, აგრეთვე მოქალაქეობრივი უფლებების დროებით და სამუდამოდ ჩამორთმევა. აქვე ვხვდებით ისეთ სასჯელებს, რომელიც დღეს მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობაშიც არის. ესენია: თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაცია, ქონების საზღაური, იგივე ჯარიმა.[2] ამასთან მიიჩნეოდა, რომ მიუხედავად ასეთი, ერთი შეხედვით მკაცრი სასჯელისა, მათი ხშირი გამოყენება არ ხდებოდა და უბრალოდ ეს იყო სახელმწიფოს ერთგვარი

---

[1] იხ. ლეკვეიშვილი მ, არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011 , გვ. 40

[2] იხ. მეტრეველი ვ, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2003, გვ. 253

დაშინება მოსახლეობისა. სწორედ, აქედან ირკვევა, რომ მაშინაც კი, როდესაც ქვეყანას აუარება მტერი ესეოდა და ათასგვარ შემოტევას იგერიებდა, კანონმდებლობის ლიბერალიზაცია დაწყებული იყო და დასჯის უმთავრესი მიზანი გახლდათ არა სამაგიეროს მიზღვა, არამედ დამნაშავის გამოსწორება.[3]

XX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც საქართველო შეუერთდა საბჭოთა მანქანას, მას თავისი კანონმდებლობა არ გააჩნდა, რამაც ერთობ დახია უკან ქართული მართლმსაჯულების განვითარება. იგი ემორჩილებოდა საბჭოთა ერთიან კოდექსებსა და კანონებს, რომლებიც ერთი შეხედვით იყო ყველაზე დემოკრატიული, ღირებული, ლიბერალური და სოციალური. მაგალითისთვის, დამნაშავის რესოციალიზაცია, აღზრდა იყო სახელმწიფოს მიერ დანიშნული სასჯელის უმთავრესი ამოცანა.[4] მიუხედავად უმკაცრესი რეჟიმისა, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობით, კერძოდ სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად „სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდებულნი შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტად შესრულების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, ... სასჯელის მიზანი არ არის ფიზიკური ტანჯვის მიყენება ან ადამიანის ღირსების დამცირება.“[5]

რაც შეეხება, თანამედროვე სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის მიზნებს, იგი სულ სხვა რედაქციითა და თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი, კერძოდ 39-ე მუხლის მიხედვით სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. „სასჯელმა მსჯავრდებულში პოზიტიური

[3] იხ. ჯავახიშვილი ი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბილისი, 1984, გვ. 379
[4] იხ. ლეკვეიშვილი მ, არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011 , გვ. 42
[5] იხ. ვარძელაშვილი ი, სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გვ. 13

პასუხისმგებლობა უნდა გამოაღვიძოს."[6] სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების შესახებ მიღებული კანონით უქმდება ის ნაწილი, სადაც სასჯელის მიზანია მსჯავრდებულზე ან სხვა პირზე ზემოქმედება დ.ა.შ. აგრეთვე უქმდება 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის ჩანაწერი ფიზიკურ ტანჯვაზე და ცვლილებების შემდგომ დარჩება მხოლოდ ტანჯვა, აგრეთვე ღირსების დამცირება შეიცვლება ღირსების შელახვით.[7] ეს მისასალმებელია, რადგან ფიზიკურ ტანჯვაში არ მოიაზრება სულიერი ტანჯვა, ცვლილებით კი ის გაერთიანდება. რაც შეეხება მსჯავრდებულზე ან სხვა პირზე ზემოქმედებას, ეს უკანასკნელი ორაზროვანია და თითქოსდა ეწინააღმდეგება სასჯელის ინდივიდუალიზმის პრინციპს. აღნიშნული ცვლილებები იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი სასჯელის მიზნების კონკრეტიზაციის პროცესში.

სიტყვა „რესოციალიზაცია" ლათინური ენიდან მომდინარეობს, „re" (განმეორებითი, აღდგენილი) + „socialis" (საზოგადო, საზოგადოებრივი). იგი განმეორებით სოციალიზაციას გულისხმობს."[8] კანონმდებელმა სასჯელის მიზნების განსაზღვრისას რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის მიზანი დააყენა ბოლოში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობენ გამოუსწორებელი დამნაშავეები, მაინც გამოსწორება უნდა იყოს პირველადი. ამიტომაც, მისაღებია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიერ დადგენილი სასჯელის მიზნების ფორმულირება. კერძოდ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 65-ე მუხლის მიხედვით არასრულწლოვნისათვის დანიშნული სასჯელის მიზანია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.[9]

---

[6] იხ. ნაჭყებია გ, სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრებისა და თავისუფლების უვადო აღკვეთის მიმართების პრობლემა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, „მართლმსაჯულება და კანონი", №2, 2013, გვ. 112

[7] იხ. საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის კოდექსში" ცვლილებების შეტანის თაობაზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4111781

[8] იხ. ჭეიშვილი ნ, რესოციალიზაციის პოლიტიკა საქართველოში, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი, თბილისი, 2014, გვ. 59

[9] იხ. გოცირიძე ე , პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა; წამების ან სხვაგვარი არაჰუმანური მოპყრობის აკრძალვა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ. 111

ტერმინი „რესოციალიზაციის“ განმარტებას სისხლის სამართლის კოდექსი არ გვაძლევს, მაგრამ იგი გვხვდება პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლში, რესოციალიზაცია ეს არის მსჯავრდებულში საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობრივი ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება. ამავე მუხლის მე-3 პუნქტით მსჯავრდებულის რესოციალიზაციის საშუალებები გამოიყენება დანიშნული სასჯელის სახის, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მსჯავრდებულის პიროვნების, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და ქცევის გათვალისწინებით. „რესოციალიზაცია არის სოციალური სახელმწიფოს პრინციპით მოცული მსჯავრდებულის უფლება ხელახლა დაბრუნდეს საზოგადოებაში, მსჯავრდებულის შანსი გამეორებით მიიღოს მონაწილეობა სოციალიზაციის პროცესში და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, შექმნას საკმარისი პროგრამები და ინიციატივები დამნაშავის გამოსასწორებლად, რათა დაცული იქნას საზოგადოებრივი წესრიგი.“[10] სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს რესოციალიზაციის პროცესში.

მ. შალიკაშვილი მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის საჭირო წინაპირობად დაზარალებულთან შერიგებას ემხრობა. ის განიხილავს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის დაზარალებულთან შერიგების სასიკეთო ასპექტებს, რაც მის რესოციალიზაციას უწყობს ხელს.[11] დ. წულაია რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესის განხორციელებას უკავშირებს მონანიებასა და მართლმადიდებულური მოძღვრების დაცვას.[12] პ. დაუთაშვილი კი საერთოდაც მიიჩნევს, რომ რესოციალიზაცია არასწორადაა ჩასმული სასჯელის

---

[10] იხ. შალიკაშვილი მ, სასჯელაღსრულების დაწესებულების მიზანი; შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ, ხასია მ, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 81

[11] იხ. შალიკაშვილი მ, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013, გვ. 29-30

[12] იხ. წულაია დ, მონანიება, როგორც დამნაშავის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის უმთავრესი ფაქტორი, მართლმსაჯულება და კანონი №3, თბილისი, 2013, გვ. 61-89

მიზნებში.[13]

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, მ. ლეკვეიშვილი სამეცნიერო სტატიაში კი აღნიშნავს, რომ რესოციალიზაციის „მიზნის მიღწევის გარეშე სისხლის სამართლის სასჯელს აზრი დაეკარგება და იგი სამაგიეროს მიზღვის სახესხვაობად გადაიქცევა.“[14] სასჯელის გამოყენების დროს მიზანი არ არის მსჯავრდებულის გამოკეტვა, სრული სიმკაცრით დასჯა, არამედ ისეთი პრაქტიკული მექანიზმების ამოქმედება, რომლებიც მომავლის პერსპექტივაში შესაძლებელს გახდის მის რესოციალიზაციასა და საზოგადოებაში დაბრუნებას.[15] ხოლო, ი. ვარძელაშვილი კი აღნიშნავს: „დამნაშავის რესოციალიზაცია არის სასჯელის უმთავრესი მიზანი. მსჯავრდებულის რესოციალიზაცია ხანგრძლივი პროცესია. იგი იწყება სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთანავე და გრძელდება სასჯელის მოხდის შემდეგაც.“[16] რაც შეეხება, უზენაესი სასამართლოს, იგი აღნიშნავს, რომ მოუხედავად მძიმე დანაშაულის ჩადენისა, ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს მსჯავრდებულის პიროვნება და ზოგადი გარემოებები. ამიტომაც, შეიძლება სასჯელის ზომის მინიმუმის დანიშვნითაც მოხდეს მსჯავრდებული პირის გამოსწორება და რესოციალიზაცა.[17] რესოციალიზაციისათვის მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს საერთშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული რეკომენდაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც არასრულწლოვანთა, ისე სრულწლოვან მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროცესის სწორად წარმართვას.

---

[13] იხ. დაუთაშვილი პ, სასჯელის მიზნის რესოციალიზაციის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნალი „სამართალი'' №6-7, თბილისი, 2000, გვ. 97

[14] იხ. ლეკვეიშვილი მ, სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №4, 2014, თბილისი, 2014, გვ. 23

[15] იხ. შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 204

[16] იხ. ვარძელაშვილი ი, სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გვ. 85

[17] იხ. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, №527ა3-17, 20 თებერვალი, 2018

1.2 რესოციალიზაციის კავშირი სასჯელის სხვა მიზნებთან

რესოციალიზაცია, რათქმაუნდა, არის სასჯელის უმთავრესი მიზანი, მაგრამ მხოლოდ მისი არსებობა არ იქნება გამართული სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის ნიშანი. ამიტომაც, საჭიროა განვიხილოთ რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის მიზნის კავშირი სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სასჯელის მიზნებთან. სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მიხედვით, სასჯელის მიზნებია სამართლიანობის აღდგენა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. ეს სასჯელის მიზნები, უდაოა, რომ არის მნიშვნელოვანი პუნქტები მსჯავრდების პროცესში. მხოლოდ რესოციალიზაციის მიზანი იქნებოდა უტოპიური, რაღაც ზღაპრული და შეუსრულებელი, რომ არ არსებობდეს სხვა აუცილებლად შესასრულებელი პუნქტები[18].

დანაშაული და სასჯელი სოციალური მოვლენაა, მისი გაკონტროლება შეიძლება და ეს ასეც ხდება სახელმწიფოს მიერ. რომ არ არსებობდეს სასჯელი, არ იარსებებდა დანაშაულიც. ამიტომ კანონმდებელმა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილით გაითვალისწინა სასჯელის სახეები, სასჯელის მიზნები, პრინციპები, ხოლო კერძო ნაწილით ის დანაშაულებრივი ქმედებები, რომლის დროსაც სახელმწიფოს მიერ ხდება პიროვნების თავისუფლებაში ინტერვენცია და იგი სჯის დამნაშავეს. ეს ყველაფერი კონტროლს უნდა დაექვემდებაროს, მითუმეტეს სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობისა და პოლიტიკის ლიბერალიზაციის ტენდენციის პირობებში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება ტოტალური კონტროლი სახელმწიფოს მხრიდა და „ნულოვანი ტოლერანტობის“ პრინციპით მოქმედება, როგორც ეს უახლეს წარსულში ხდებოდა.[19] სწორედ ამიტომ საჭიროებს სასჯელი

---

[18] იხ. დაუთაშვილი პ, სასჯელის მიზნის რესოციალიზაციის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნალი „სამართალი'' №6-7, თბილისი, 2000, გვ. 98-99

[19] იხ. კობახიძე ი, სამართლებრიცი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, სამართლის ჟურნალი №1, 2013, გვ. 309; ციტირებულია: Purposes of punishment, criminal law, University of Minnesota Libraries Publishing edition, 2015. http://open.lib.umn.edu/criminallaw/front-matter/publisher-information/

მიზანს, სწორედ ამიტომ უნდა გაითვალისწინოს იგი მოსამართლემ სასჯელის ინდივიდუალიზმის პრინციპის გათვალისწინებით, თუ როგორი სასჯელი უნდა დანიშნოს, რომ მოხდეს სასჯელის მიზნების განხორციელება. მხოლოდ პიროვნების გამოსწორების მიზანი კი არღვევს მაგ. დაზარალებულის ინტერესებს, რომლის მიმართაც განხორციელდა დანაშაული და მისი მოლოდინია, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს დამნაშავის დასჯას. „როდესაც დაზარალებული და საზოგადოება აღმოაჩენს, რომ ბრალდებული დანაშაულისათვის სათანადოდ დაისაჯა, ისინი მიაღწევენ გარკვეულ კმაყოფილებას.“[20] ამიტომაც, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის დანარჩენი მიზნების, სამართლიანობის აღდგენისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების არსებობა მეტად მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი სწორად და პრაქტიკულად გამოყენება.

[20] იხ. კობახიძე ი, სამართლებრიცი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, სამართლის ჟურნალი №1, 2013, გვ. 309; ციტირებულია: Purposes of punishment, criminal law, University of Minnesota Libraries Publishing edition, 2015. http://open.lib.umn.edu/criminallaw/front-matter/publisher-information/

თავი II. რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ჭრილში

2.1 სამართლებრივი სახელმწიფოს როლი რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის მიზნის მიღწევისას

სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა, ისევე როგორც სხვა პრინციპები, მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში: „ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა, დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველვყოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განვამტკიცოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა“[21]. მართალია პრეამბულას არ აქვს იურიდიული ძალა, მაგრამ მასში გამოხატულია სახელმწიფოს მიზნები, მისი მოქმედების მთავარი პრინციპები.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით კი ეს არის აგრეთვე სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების მიზანი, რაც აგრეთვე გადმოცემულია კონსტიტუციის მე-5, მე-6 და მე-7 მუხლებსა და სხვა დებულებებში. სამართლებრივი სახელმწიფო თავის თავში მოიაზრებს თვითშეზღუდვას ხელისუფლების მხრიდან , რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა, ინდივიდთა თავისუფლება და თანასწორობა. „სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მატერიალური განსაზღვრების თანახმად, მისი უმთავრესი მიზანი და ამოცანა საზოგადოებისა და ინდივიდის თავისუფლების უზრუნველყოფაა.“[22]

სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად ელემენტებად განიხილება

---

[21] იხ. საქართველოს კონსტიტუცია, პრეამბულა

[22] იხ. კობახიძე ი, სამართლებრიცი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, სამართლის ჟურნალი №1, 2013, გვ. 309; ციტირებულია: Sommermann K.-P., Art. 20, in: v. Mangoldt H., Klein F., Starck Ch. (Hrsg.), Kommentar zum Grundgesetz, München 2010, 232.

სამართლის უზენაესობის, კონსტიტუციის უზენაესობის, კანონის უპირატესობის, კანონის დათქმის, თანაზომიერებისა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპები.[23] სახელმწიფო ხელისუფლება შეზრუდულია კანონმდებლობით და სამართლებრივი პრინციპებით და მის მიერ გარკვეულ სფეროებში ჩარევა უნდა მოხდეს კანონით დაშვებულ საზღვრებში და კანონითვე გათვალისწინებულ შემთხვევებში. „სამართლებრივი სახელმწიფო სწორედ ცალკეულ ადამიანს იცავს საჯარო ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ჩარევებისაგან."[24]

ხშირად სამართლებრივ სახელმწიფოს იდეალურ სახელმწიფოსთანაც აიგევებენ, მაგრამ იდეალური სახელმწიფოს იდეა სრულიად უტოპიურია. სამართლებრივი სახელმწიფო გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს, როგორიცაა ხელისუფლების დანაწილება და ბალანსი, მათი ავტონომიურობა, ამასთანავე ეფექტური ურთიერთკონტროლი, კანონის უზენაესობა, ხელისუფლების წყარო უნდა იყოს ხალხი, რაც გაცხადებულია საქართველოს კონსტიტუციაში, კანონის ეფექტურობა, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არსებობა, აგრეთვე ხალხის სამართლებრივი თვითშეგნება. „მისაღები და პრაქტიკული ჩანს სახელმწიფოზე კანონის ბატონობა, როცა სახელმწიფო მის მიერ მიღებულ კანონებს ემორჩილება."[25]

საკონსტიტუციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მნიშვნელობაზე. „ადამიანის უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ გარანტიას, კონსტიტუციის სხვა ძირითად პრინციპებთან ერთდ, წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს უზრუნვემლყოფელი ნორმა-პრინციპები, რომლებიც განაპირობებენ მთლიანად კონსტიტუციის შინაარსს. სამართლებრივი სხელმწიფოს პრინციპი

---

[23] იხ. კობახიძე ი, სამართლებრიცი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, სამართლის ჟურნალი №1, 2013, გვ. 310

[24] იხ. შვაბე ი, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2011, გვ. 323

[25] იხ. ნაჭყებია გ, საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის მეთოდოლოგიური პრობლემები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 67

გულისხმობს რა, რომ ხელისუფლება უნდა ეყრდნობოდეს კონსტიტუციას, კანონს და მთლიანად სამართალს.“[26]

კონსტიტუციის მიხედვით ხელისუფლება დანაწილებულია საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად. „სამართლებრივი სახელმწიფოს წინაპირობად კანტი[27] მიიჩნევს არსებული ხელისუფლების სამი შტოს ურთიერთკოორდინაციას, როცა ერთი ავსებს მეორეს და იმავდროულად თითოეული ექვემდებარება ერთმანეთს.“[28] ასეთი სისტემის მეშვეობით ხელისუფლებამ უნდა გაიმტკიცოს მდგომარეობა, აიღოს პასუხისმგებლობა და შეასრულოს დასახული მიზნები და ამოცანები.[29]

სამართლებრივი სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ნაწილია სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული ადამიანის ძირითად უფლებებთან. მისი წარმოჩენა და მიზნების მიღწევა სამართლებრივი ნორმების მეშვეობით ხდება, მიზანი კი კონსტიტუციური გარანტიებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფა და დაცვაა.[30] სამართლებრივი უსაფრთხოების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს სახელმწიფო, როგორც სამართლებრივი უსაფრთხოების გარანტი.[31]

სამართლებრივი სახელმწიფო მოიაზრებს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს. კანონი ყველასთვის ერთია. მას საკანონმდებლო ხელისუფლება გვაძლევს, აღმასრულებელი აღასრულებს, სასამართლო კი წყვეტს, რამდენად შესრულდა ესა

---

[26] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. №1/3/407, 26 დეკემბერი, 2007 წელი

[27] ი. კანტი, გერმანელი ფილოსოფოსი, თანამედროვე ფილოსოფიის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი

[28] იხ. მაჭარაშვილი ზ, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეური მეტამორფოზები, სახელმწიფო სამართალი (III), თბილისი, 2001, გვ. 69-70

[29] იხ. კობახიძე ი, სამართლებრიცი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, სამართლის ჟურნალი №1, 2013, გვ. 311

[30] იხ. ჯანაშვილი ლ, სამართლებრივი უსაფრთხოება, როგორც სამართლის ძირითადი ფუნქცია და სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პრინციპი, სამართლის ჟურნალი №1, თბილისი, 2014, გვ. 44

[31] იქვე. გვ. 48

თუ ის ნორმა. აღნიშნული სასამართლოს როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის სფეროში, რადგან სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებზე დაყრდნობით, სასამართლო ხელისუფლებამ ბრალდებულს უნდა მიუსაჯოს სამართლიანი სასჯელი, სასჯელის მიზნების განხორციელებისათვის. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოსამართლე აღნიშნავს: „სასამართლო განმარტავს, რომ სამართლიან სასჯელში, უპირობოდ არ იგულისხმება სასამართლოს მიერ მსუბუქი სასჯელის გამოყენება, არამედ სასჯელი უნდა იყოს ადეკვატური და უნდა ემსახურებოდეს მისი მიზნების რეალურ და არა ფორმალურ შესრულებას.“[32] სწორედ, ამავე მიზნებს ემსახურება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის სახესხვაობა საქართველოს კონსტიტუციაში, კერძოდ მე-18, მე-40 და 42-ე მუხლები, რომლებიც სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და დარგის ფუნდამენტურ ღირებულებებს წარმოადგენს დემოკრატიულ საზოგადოებაში. სახელმწიფო სამართლებრივობის პრინციპს ახორციელებს სასჯელის მეშვეობით. სასჯელი არის სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიება, რომელიც საქართველოს სახელით სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე შეეფარდება დანაშაულის ჩამდენ პირს. იგი არის სახელმწიფოს ყველაზე მკაცრი რეაქცია სამართლებრივი უწონასწორობის აღმოსაფხვრელად.[33]

რადგან „დანაშაულებრივი ქმედება არა მარტო მართლსაწინააღმდეგოა, არამედ უმართლობის აქტიც. რა თქმა უნდა, „დანაშაულის“ ჭეშმარიტი უსამართლობა არსებითადაა დამოკიდებული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ წყობაზე. ... სახელმწიფომ ქმედების კრიმინალიზაციის ეტაპზე უნდა გადაწყვიტოს დანაშაულისა და სასჯელის შესაბამისობის საკითხი.“[34] განაჩენი გამოაქვს სასამართლოს, სახელმწიფოს სახელით ისჯება მსჯავრდებული და მის მიმართ აღსრულდება იგი. „უსამართლოა სასჯელი, რომელიც კანონის

---

[32] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმეN2კ-367ა3-17 2017 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება

[33] იხ. ვარძელაშვილი ი, სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გვ. 23

[34] იხ. ნაჭყებია გ, სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო (მეორე გამოცემა), ავტორთა კოლექტივი. თბილისი, 2016, გვ. 65

ზღვრებს სცილდება, რადგან ის უკვე სხვა სასჯელია, რომელიც კანონით არაა დადგენილი.“ ამიტომ სასამართლომ სასჯელი უნდა დანიშნოს კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში.[35]

აგრეთვე, სასჯელი უნდა იყოს სამართლიანი. „უსამართლო სასჯელის დანიშვნით ვერ მიიღწევა სასჯელის მიზნები: პირველ რიგში სამართლიანობის აღდგენა და შემდგომ მსჯავრდებულის რესოციალიზაცია.“[36]

სასამართლო ხელისუფლების ეფექტურობა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სამართლებრივი სახელმწიფოსა და მსჯავრდებულის რესოციალიზაციის სადარაჯოზე. ეფექტურად და მოქნილად სასამართლოს მიერ გამოყენებული სასჯელის ზომები და ფორმები შეიძლება იყოს გარანტი კონსტიტუციური და საერთაშორისო ნორმებისა და პირობების შესრულებისა. მსჯავრდებული სასჯელს მოიხდის მის მიერ ჩადენილი დანაშაულის საპირწონედ. აგრეთვე სასჯელაღსრულების სისტემა მნიშვნელოვანია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განხორციელებისათვის. „მსჯავრდებულს თუ ექნება ხედვა, რომ სახელმწიფო, სასჯელაღსრულების სისტემა მასთან დაპირისპირებული კი არ არის, არამედ პირიქით, სურს მისი დახმარება(გამოსწორება), მისი რესოციალიზაცია უფრო ადვილი მისაღწევი იქნება.“[37]

სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისას სიძნელეები გამოიხატება საზოგადოების მისწრაფებაში მატერიალური სარგებლისაკენ, რის ნაცვლადაც სხვა ღირებულებების გაძლიერება ხელს შეუწყობს მის ჩამოყალიბებასა და სწორ ფუნქციონირებას.[38]

სისხლის სამართლის კოდექსი სასჯელის მიზნების მუხლში აგრეთვე გვეუბნება, რომ სასჯელის დანიშვნა ხორციელდება, რათა მსჯავრდებული

---

[35] იხ. ბეკარია ჩ, დანაშაულისა და სასჯელისათვის, თბილისი, 2003, გვ. 36

[36] იხ. ვარძელაშვილი ი, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და სასჯელის მიზნების ურთიერთმიმართების პრობლემა, სამართლის ჟურნალი №2, თბილისი, 2013, გვ. 190

[37] იხ. შალიკაშვილი მ, სასჯელაღსრულების სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში, შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ., ხასია მ, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 22

[38] იხ. გაბუნია მ, კრიმინოლოგიური შეხედულებანი სამართლიანობასა და სამართალზე, გურამ ნაჭყებია - 75, საიუბილეო კრებული, რედ. ნონა თოდუა, თბილისი, 2016, გვ. 233

მართლწესრიგს მოერგოს და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა მოემატოს. სასჯელის მიზანი კი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება. სასჯელის მიზნების ეს ფორმულირება სრულიად მოიცავს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მთავარ იდეას. მის განხორციეელბას ასევე დიდად უწყობს ხელს სისხლის სამართლის ლიბერალიზაცია. სასჯელი არ არის მხოლოდ დასჯისათვის, სახელმწიფოს ლიბერალური პოლიტიკა უნდა მდგომარეობდეს სასჯელის გამოყენებით სასჯელის მიზნების განხორციელებაში, როგორიცაა ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და რაც ყველაზე მთავარია, დამნაშავის რესოციალიზაცია. ასეთი სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ დაწერილი კანონი, რომელიც აღსრულდება და გამოიყენება მისსავე მიერ, უნდა გახდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების არა ჯალათური სისტემის დაქვემდებარებისათვის, არამედ მისი გამოსწორებისათვის, დანაშაულის ფაქტის შეცნობისათვის და სინანულის გრძნობის გაღვივებისათვის.[39]

2.2 კრიმინოლოგია და რესოციალიზაცია

სამართლებრივ და სოციალურ სახელმწიფოსთან კავშირში, დამნაშავისა და მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესში მნიშვნელოვანია თვითონ დანაშაულის კრიმინოლოგიური შეფასება, თუ რა უწყობს ხელს დანაშაულის ჩადენას, რა უბიძგებს პირს ჩაიდინოს კანონით გათვალისწინებული ესა თუ ის ქმედება. კრიმინოლოგია არის იურიდიული მეცნიერების დარგი დანაშაულებრიობის, დანაშაულის მიზეზის, დანაშაულის პიროვნების, დანაშაულის თავიდან აცილების მეთოდებისა და საშუალებების, მისი ლიკვიდაციის პერსპექტივის შესწავლის შესახებ.[40] „კრიმინოლოგია, უპირველეს ყოვლისა, არის

[39] იხ. გაბუნია მ, კრიმინოლოგიური შეხედულებანი სამართლიანობასა და სამართალზე, გურამ ნაჭყებია - 75, საიუბილეო კრებული, რედ. ნონა თოდუა, თბილისი, 2016, გვ. 233-234

[40] იხ. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, კრიმინოლოგია. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=19213

მეცნიერება საერთო-სისხლისსამართლებრივი დანაშაულობის შესახებ.“[41]

„კრიმინოლოგია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს, დამნაშავისა და მსხვერპლის პიროვნებას და დანაშაულის კონტროლსა და პრევენციას. კრიმინოლოგიის შესწავლის საგანს, ასევე, წარმოადგენს სასჯელის აღსრულება, სარეაბილიტაციო ღონისძიებები და მისი შედეგები მსჯავრდებულზე, სასჯელის მოხდის პიროვნების ზეგავლენა მსჯავრდებულის რესოციალიზაციაზე.“[42]

მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი ეტიკეტირებისაგან განრიდება, რაც განპირობებულია საზოგადოების დამოკიდებულებით მის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტის საზოგადო განხილვით. ეტიკეტირება, საზოგადოების რეაქცია, მნიშვნელოვნად განაპირობებს სასჯელმოხდილი პირის მომავალს. „კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, ეტიკეტირების მნიშვნელობა მდგომარეობს დამნაშავედ მიჩნეული პირის მიერ საკუთარი პიროვნების იდენტიფიკაციის შეცვლაში და კრიმინალური სტატუსის აღიარებასა და მის გამართლებაში. თუ საზოგადოების მიერ პიროვნება მიჩნეული იქნება კრიმინალად, იგი ამის შემდეგ იქცევა ისე, რომ გაამართლოს საზოგადოების შეხედულება მისი პიროვნების შესახებ.“[43] პირი დამნაშავედ იქცევა სახელმწიფო სოციალური ორგანოების „ძალისხმევით“, რაც პირში იწვევს ფსიქოლოგიის გადატრიალებასა და მის კანონდამრღვევად ჩამოყალიბებას.ეს მაგრამ არსებობს მეორე ფაქტორი, როდესაც სახელმწიფო ვერ ამხელს მას დანაშაულში და მისი ქმედება დაფარული რჩება, ამ შემთხვევაში მეტია შანსი, რომ დამნაშავე გათამამდეს და უფრო მძიმე ქმედება ჩაიდინოს.[44] „საზოგადოების მიერ დამნაშავე ინდივიდისადმი მეტი ყურადღების, ნდობის და სიყვარულის გამოხატვით

---

[41] იხ. წულაია ზ, კრიმინოლოგია, თბილისი, 2005, გვ. 10

[42] იხ. არსოშვილი გ, მიქანაძე გ, შალიკაშვილი მ. პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 33-34

[43] იხ. შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები, თბილისი, 2011. გვ. 46; Guppinger, H., 1997. S. 110.

[44] იხ. შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 48

შესაძლებელი იქნებოდა პიროვნების დამნაშავედ ჩამოყალიბებაში ხელის შეშლა.“[45]

სოციალური კავშირი ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან, აგრეთვე სახელმწიფოს სასჯელაღსრულებითი პოლიტიკის გამოძახილია ის, რაზეც სტატისტიკა მეტყველებს, რომლის მიხედვითაც ზემოთაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით დანაშაულის რეციდივისა და დანაშაულებრივი ცხოვრების, ფაქტების რაოდენობა შემცირდა იმ შემთხვევებში, როცა სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ არ გარიყული მსჯავრდებულები, პატიმრები, ყოფილი მსჯავრდებულები.[46] ამიტომაც საზოგადოებას, ისევე როგორც სახელმწიფოს, მნიშვნელოვანი როლი აკისრია დანაშაულის თავიდან აცილების და დამნაშავის რესოციალიზაციის პროცესში.

კრიმინოლოგია დანაშაულთან ბრძოლის მნიშვნელოვან ნაწილადაც შეიძლება აღვიქვათ, რადგან ის უზრუნველყოფს იმ მონაცემების გაანალიზებას, რაც უკავშირდება დანაშაულებრიობას და სასჯელის ეფექტურობის კონცეფციას. „კრიმინოლოგი აანალიზებს დანაშაულის მიზეზებს და საზოგადოებასა და დანაშაულს შორის დამოკიდებულებას, დამნაშავის ქცევას და იმ მეთოდებს, რომლებსაც იგი დანაშაულისათვის იყენებს. ... იკვლევს დამნაშავის პიროვნებას, მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და ქცევას, სოციალურ საკითხებს, გარემო ფაქტორებს, განათლების დონესა და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. ... განსაზღვრავს იმ სოციალურ მიზეზებს, რამაც უბიძგა დამნაშავეებს დანაშაულის ჩადენა.“[47] ამით კრიმინოლოგია ემსგავსება სოციალურ სახელმწიფოს პრინციპის ძირითად ასპექტებს, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ სასჯელის მიზნების განხორციელების მთავარი იდეა გამოიხატება მსჯავრდებული პირის მიმართ ე.წ. ინფორმაციის

---

[45] იხ. შალიკაშვილი მ, კრიმინალური კარიერის ხელშეწყობის კრიმინოლოგიური ანალიზი (საზოგადოების როლი ადამიანის კრიმინალად ჩამოყალიბების პროცესში), სამართლის ჟურნალი №1-2, თბილისი, 2010, გვ. 208

[46] იხ. შალიკაშვილი მ, ჩიხლაძე დ, პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013, გვ. 13

[47] იხ. წულაია დ, კრიმინოლოგიის მნიშვნელობა სახელმწიფოსა და საზოგადოებაში, მართლმსაჯულება და კანონი №3, 2010, გვ. 127-128

შეგროვებაში, რაც ერთიან სურათს დახატავს მისი პიროვნების შესახებ. შესაძლებელია თუ არა მისი რესოციალიზაცია და რამდენამდე ეფექტურად განხორციელდება ის. სასჯელის მოხდის შემდგომ პირის რესოციალიზაციაზე ზრუნვა სახელმწიფოს ვალდებულებაა, ამისათვის ის უნდა მოწყდეს იმ ცხოვრებისეულ პირობებსა და სოციალურ წრეს, სადაც ის ჩამოყალიბდა დამნაშავედ. „პიროვნების კორექცია შესაძლებელია იმ ურთიერთობათა მონაწილეობის გარეშე, რომელშიც პირი აქტიურად იყო ადრე ჩართული, ამასთან, იმ ახალ, მისთვის მნიშვნელოვნად შეცვლილ ურთიერთობებთან შეგუების გზით, რომელიც სასჯელის მოხდის პროცესში ყალიბდება.“[48] ამას ხელს უწყობს სასამართლოს მიერ ადეკვატური და სამართლიანი სასჯელის ზომის დანიშვნა, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი. „სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას სავალდებულოა დადგინდეს ჩადენილი დანაშაულის სოციალური საშიშროება, რაოდენ საფრთხის შემქმნელი იყო იგი საზოგადოებისათვის, ასევე მნიშვნელოვანია, დანაშაულით განხორციელებული ქმედების შედეგი.“[49]

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2017 წელს რეგისტრირებული იყო 6857 დანაშაული, აქედან 43.07% გახსნილ იქნა სამართალდამცავი ორგანოების მიერ. ხოლო 2018 წელს რეგისტრირებული 8871 დანაშაულიდან გახსნილია 31.07%. აქედან ჭარბობს სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და ოჯახში ძალადობის ფაქტები. აგრეთვე აქტუალურია სატრანსპორტო და ნარკოტიკული დანაშაულები.[50]

საქართველოს ისტორია გვაძლევს შესანიშნავ საშუალებას, რომ გავეცნოთ იმ დეტალებს, რითაც მოხდა მე-20 საუკუნის ბოლოს კრიმინალური დონის აღზევება.

---

[48] იხ. მაცაბერიძე ზ, კვლევითი ორიენტაციები და კრიმინოლოგიის საგნის ფორმირება, ჟურნალი „მართლმსაჯულება“ №3, თბილისი, 2008, გვ. 49-50

[49] იხ. ლეკვეიშვილი მ, სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №4, 2014, თბილისი, 2014, გვ. 28

[50] იხ. სტატისტიკა:
http://police.ge/files/pdf/vizitorebi/2017/2018%20დანაშაულის%20სტატისტიკა/ianvar-tebervali საქართველოს%20ყველა%20საგამოძიებო%20უწყება%20%28იანვარ-თებერვალი%202018%20წ.%29.pdf

90-იანი წლებში საქართველო იყო კრიმინალის ბუდე, რომელსაც არ ეწერა გათავისუფლება ამ ჭირისაგან. თითქმის ყოველდღე ხდებოდა ძალადობრივი დანაშაულები, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, მექრთამეობა, ხულიგნობა, იარაღის უკანონო შეძენეა, შენახვა, ტარება. ნარკომანიის პრობლემას სულ განიცდიდა საქართველო, მაგრამ მაშინ ეს იყო წარმოუდგენელად შემზარავი ფაქტი, როდესაც სადარბაზოები გადავსებული იყო გამოყენებული ე.წ. შპრიცებით. ქურდული სამყარო, ორგანიზებული დანაშაული ყოველდღიურობის ნაწილი გახლდათ. ეს იყო გაგრძელება საბჭოთა რეჟიმისა, რომლის ტყვეობაშიც საქართველო იმყოფებოდა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან და ფაქტობრივად რუსეთის გამგებლობაში არსებობდა, რამაც ერთიორად შეუწყო ხელი დანაშაულის დონის ამაღლებას. ამ პერიოდში მოქმედებდა ქურდული კანონები. არასრულწლოვანთა უმრავლესობას სურდა გამხდარიყო ქურდული სამყაროს წევრი. საქართველოში ვითარება შეიცვალა 21-ე საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც სისხლის სამართლის პოლიტიკა გადავიდა „ნულოვანი ტოლერანტობის“ რეჟიმში, რასაც მოყვა ციხეების, პენიტენციური დაწესებულებების გადავსება, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გახშირება,[51] რაც ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო რეგულაციებსა და რეკომენდაციებს, მაგრამ მან შედეგი გამოიღო და კრიმინოგენული ვითარება სახელმწიფოში თითქმის აღარ იყო, დანაშაულის დონემ იკლო.

კრიმინოლოგიას მნიშვნელოვანი კავშირი აქვს დანაშაულის რეციდივთან. სასჯელის მიზნების განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი ფაქტორია სახელმწიფოს დამოკიდებულება დანაშაულის თავიდან აცილებისაკენ, განმეორებითი დანაშაულის ჩადენისაკენ. დანაშაულის რეციდივის მნიშვნელობა მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლში, რომლის მიხედვითაც რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას. სასჯელის მიზნების უმთავრესი ნაწილი,

[51] იხ. ქელბაქიანი ა, კრიმინალური სუბკულტურა; მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე , მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 422

როგორიცაა მსჯავრდებულის რესოციალიზაცია განხორციელებულად ვერ ჩაითვლება, თუ პირი, რომელმაც განზრახი დანაშაული ჩაიდინა, ისევ დაუბრუნდება კრიმინალურ საქმიანობას. განზრახი დანაშაულის ჩამდენი პირის კრიმინოლოგიური პორტრეტი მეტად საშიშია საზოგადოებისათვის. რეციდივის დღევანდელი სახე განსხვავდება საბჭოური კანონმდებლობისაგან, სადაც რეციდივი პიროვნების დამახასიათებელი ნიშანი იყო, დღევანდელ კანონმდებლობაში კი ეს დანაშაულის ნიშანია, „რაც შეესაბამება პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციისა და ჰუმანიზმის პრინციპს.“[52] რეციდივის თავიდან აცილება შესაძლებელია ისევ სახელმწიფოს პოლიტიკით. „დანაშაულის რეციდივის პროფილაქტიკისათვის განსაკუთრებით მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციულ ზედამხედველობას, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებსა და სოციალურ კონტროლს, როგორც დანაშაულის რეციდივთან ბრძოლის სპეციალურ საშუალებებს.“[53]

ამიტომაც, სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა თავიდან აიცილოს რეციდივის შემთხვევები, ეს ყველაფერი კი გარანტირებული იქნება მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისათვის გატარებული ეფექტური პოლიტიკის შედეგად.

---

[52] იხ. მამულაშვილი გ, ერთიანი დანაშაული და დანაშაულის სიმრავლე, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო(მეორე გამოცემა), ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2016, გვ. 476

[53] იხ. დაუთაშვილი პ, სასჯელის მიზნის რესოციალიზაციის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნალი „სამართალი'' №6-7, თბილისი, 2000, გვ. 99

თავი III. რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი და სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა (ანალიზი)

3.1 რესოციალიზაცია ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დროს

რესოციალიზაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დროს, რადგან აღნიშნული სასჯელის გამოყენებისას ხდება მსჯავრდებულის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების შეზღუდვა და იგი შესაბამისი უნდა იყოს ზიანისა, რაც მან ხელყო. კონსტიტუციის მე-18 მუხლის დაცვის სფეროს მიხედვით, „არა მსჯავრდება, არამედ თავისუფლების აღკვეთა უნდა იყოს მართლზომიერი.“[54] „ვადიანი თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციას და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებას ნიშნავს. თავისუფლების აღკვეთა სხვა სახის სასჯელებზე უფრო მძიმეა და იგი მსჯავრდებულს მოსამართლემ მხოლოდ მაშინ უნდა შეუფარდოს, როცა სასჯელის სხვა სახეების გამოყენებით სასჯელის მიზნის მიღწევა შეუძლებელია. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულია როგორც ნაკლებად მძიმე, ისე მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის“.[55]

პატიმრობის კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მიზანია პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია[56]. სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს სასჯელის მიზნებსა და სახეებს. კერძოდ სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლის მიხედვით განსაზღვრულია

---

[54] იხ. ტურავა მ, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადმიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. თბილისი, 2013. გვ. 137

[55] იხ. ცქიტიშვილი თ, სასჯელის პროპორციულობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016. გვ. 560.

[56] იხ. პატიმრობის კოდექსი, მუხლი 1

სასჯელთა სახეები. მე-40 მუხლის ზ) და თ) ქვეპუნქტებში სასჯელის სახეებად განსაზღვრულია ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და უვადო თვისუფლების აღკვეთა. სსკ მე-12 მუხლი კი განსაზღვრავს დანაშაულთა კატეგორიებს, კერძოდ ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები, რომლებიც გათვალისწინებულა თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადის მიხედვით. ვადიანი თვისუფლების აღკვეთა ინიშნება ექვსი თვიდან ოც წლამდე ვადით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როგორიცაა სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს.[57]

„საქართველოს სისხლის სამართლის 1960 წლის კოდექსით სასჯელის რესოციალიზაციის მიზანი შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: კოდექსში აღინიშნებოდა, რომ სასჯელი სხვა მიზნებთან ერთად გულისხმობს მსჯავრდებულის გამოსწორებას და ხელახალ აღზრდას შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტად შესრულების, საერთო წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.“[58] აღნიშნულისაგან ახლანდელი რესოციალიზაციის განმარტება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება, ამასთან ერთად პატიმრობის კოდექსი უფრო მეტ განმარტებას გვაძლევს რესოციალიზაციისა, 116-ე მუხლში გადმოცემულია, თუ რა არის მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, კერძოდ მსჯავრდებულის რესოციალიზაცია არის მსჯავრდებულში საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება.[59]

„რესოციალიზაცია თავის თავში დამნაშავის გამოსწორებას გულისხმობს. მასში უნდა ვიგულისხმოთ, პირველ რიგში, დამნაშავის ფსიქიკაში დანაშაულის ჩადენისადმი მიდრეკილების აღმოფხვრა, მისთვის ისეთი ჩვევისა თუ შეხედულების შთაგონება, რომელიც გამორიცხავს მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის სურვილს.

---

[57] იხ. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 59

[58] იხ. ლეკვეიშვილი მ, სასჯელის ინდივიდუალიზაცია როგორც სასჯელი შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016 , გვ. 182

[59] იხ. პატიმრობის კოდექსი, მუხ. 116 , https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612

აღზრდის შემდეგ ეტაპად კი უნდა ჩავთვალოთ უკვე გამოსწორებული პირის სოციალურ გარემოში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანასწორუფლებიან წევრად დაბრუნება“[60]. „სახელმწიფოს პოლიტიკა არ უნდა გამოიხატებოდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების მიმართ რეპრესიების გაძლიერებაში, სანქციების გაზრდაში, არამედ ეს მოითხოვს, სახელმწიფოს მხრიდან თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სასჯელებისა და ზომების დანერგვასა და განვითარებას.“[61]

თავისუფლების აღკვეთა გამოიყენება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში. 2016 წელს ძალაში შევიდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის მიხედვითაც სასჯელის მიზნებად განისაზღვრა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით აღნიშნული კანონით კანონმდებელმა შემოიტანა ლიბერალური მიდგომები კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანთა მიმართ. ზემოთაღნიშნული კოდექსის მიხედვით კი თავისუფლების აღკვეთა არასრულწლოვანს შეიძლება დაენიშნოს, თუ მან ჩაიდინა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. „თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში რესოციალიზაციის პროცესს ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული პირობები ძლიერ ზემოქმედებას ახდენს მსჯავრდებულზე. გამომდინარე იქედან, რომ ისინი რადიკალურად განსხვავდებიან რიგითი მოქალაქის ცხოვრების პირობებისაგან.“[62] ამიტომ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების დროს სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ პატიმრებმა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოახდინონ თავიანთი თავის რეალიზაცია. მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ერთ-ერთი საშუალება ზოგადი და პროფესიული განათლების მიცემაა მისთვის. „განათლებას ასევე მნიშვნელოვან ადგილს უთმობს გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები, რომელიც

---

[60] იხ. ლეკვეიშვილი მ, არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011 , გვ. 55.

[61] იხ. გეთიაშვილი გ, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის არსი, სამართლის ჟურნალი №2, თბილისი, 2016, გვ. 230

[62] იხ. ვარძელაშვილი ი, სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გვ. 99.

განმარტავს, რომ სადაც კანონით დასაშვებია, განათლება უნდა იყოს უზრუნველყოფილი, ასევე ყურადღებას უთმობს რელიგიურ განათლებას, ასევე იმ პირებთან და უწყებებთან ურთიერთობების შენარჩუნებასა და გამყარებას, რომლებიც ციხის გარეთ დახვდებიან მათ გათავისუფლების შემთხვევაში.“[63]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ რესოციალიზაცია არის კონსტიტუციის დონეზე შესასრულებელი მიზანი და მსჯავრდებულს, რომელმაც მოინანია თავისი დანაშაული, თავისი ღირსების შესანარჩუნებლად კვლავ დაუბრუნდეს საზოგადოებას. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ყველა იმ საჭირო ზომების მიღება, აგრეთვე სასჯელაღსრულების დაწესებულებები უნდა მიისწრაფვოდნენ მსჯავრდებულის რესოციალიზაციისაკენ, მათ ხელი უნდა შეუწყონ მსჯავრდებულს, პატიმარს, რათა გაუმკლავდნენ იმ დამანგრეველ ფსიქოლოგიურ თუ ფიზიკურ ასპექტებს, რომელიც მოყვება თავისუფლების აღკვეთის ასრულებას.[64]

უახლეს სტატისტიკას აქვეყნებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, შეიქმნა სპეციალური სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან გათავისუფლებული იმ პირების რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ხელშეწყობას, რომლებიც არ არიან პრობაციონერები[65] და ამიტომ კიდევ უფრო მეტად სჭირდებათ სახელმწიფოს თანადგომა. 2012-2016 წლებში პროგრამით ისარგებლა 1733-მა ყოფილმა პატიმარმა.[66] რაც შეეხება პატიმართა რაოდენობას, აღნიშნულთან დაკავშირებით კვლევას აქვეყნებს კრიმინალური პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტი “ICPR”, რომლის მიხედვითაც საქართველოში პატიმართა რაოდენობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 9 451-ით განისაზღვრება. რომლის 2.9% ქალები, ხოლო 0.3%

---

[63] იხ. ვარძელაშვილი ი, სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გვ. 101.

[64] იხ. VINTER AND OTHERS v. THE UNITED KINGDOM, 9 ივლისი, 2013; www.supremecourt.ge

[65] პრობაციონერის ზუსტ განმარტებას კანონმდებლობა არ იძლევა, მაგრამ შეგვიძლია მოვიშველიოთ თარგმანი

[66] იხ. ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის 4 წლის იუბილე; http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5308

არასრულწლოვნები არიან. 31 ივლისის მდგომარეობით ქართული ციხეების ტევადობა განისაზღვრა 21 398 ადგილით. აღნიშნულ კვლევაში ასევე მოცემულია უახლესი წლების სტატისტიკა. 2012 წელს პატიმართა რაოდენობა 19,350, ხოლო 2014 წელს 10 372-ით განისაზღვრებოდა.[67]

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკა ზემოთხსენებულთან ახლოს დგას. 2018 წლის სტატისტიკა აგრეთვე გვიჩვენებს იმ რესოციალიზაციის ღონისძიებებს, რომელიც ქართულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ხორციელდება, ესენია: ზოგადი, უმაღლესი, პროფესიული განათლება, ტრენინგ-პროგრამები, ფსიქო-სოციალური პროგრამები, შრომა, სპორტული და კულტურული ღონისძიებები და სხვა. დამნაშავემ თავისი სასჯელიდან რაღაც უნდა ისწავლოს და შეძლოს საზოგადოებაში კვლავ ინტეგრაცია, ეს არის რესოციალიზაციის მიზანი.[68]

სტატისტიკის მიხედვით მცირეა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობა. არასრულწლოვანი არის პირი, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი. თავისუფლების აღკვეთის გამოყენებისას, როდესაც საქმე ეხება არასრულწლოვანს, 2016 წლის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, მოსამართლეს გამოაქვს განაჩენი ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. არასრულწლოვანთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენებისას გასათვალისწინებელ გარემოებებს გვაძლევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლება აღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (ე.წ. „პეკინის წესები“), გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ და სხვ.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლით

---

67 იხ. სტსტისტიკა: http://www.prisonstudies.org/country/georgia

68 იხ. ვარძელაშვილი ი, სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გვ. 103

გათვალისწინებულია არასრულწლოვნისათვის სასჯელის სახით ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა. კერძოდ, სასჯელის ეს სახე გამოიყენება, თუ არასრულწლოვანმა ჩაიდინა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი ან ის თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს. წარსულში გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის თაობაზე მითითება ბუნდოვანია, მითუმეტეს ზემოთაღნიშნული კანონის მე-12 მუხლში წერია, რომ არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე. აღნიშნულთან დაკავშირებით ი. ვარძელაშვილი გამოთქვამს საკმაოდ დამარწმუნებელ არგუმენტს, რომ „წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი“-ის ნაცვლად უმჯობესია მითითება იყოს „ნასამართლევი იყო“. ვინაიდან, „წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა მხედველობაში შეიძლება მივიღოთ, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით სწორი არ იქნება“.[69]

ი. ვარძელაშვილს, იქვე მოყვანილი აქვს უზენაესი სასამართლოს განმარტება 2016 წლის 20 ოქტომბრის განაჩენში, სადაც უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „თუ არასრულწლოვანი ნასამართლობის არმქონეა, მის მიმართ წარსულში გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული.“[70] არასრულწლოვნის რესოციალიზაციისათვის მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთის მოდელის შეცვლა, რომელიც შევიდა ძალაში 2016 წლის 1 იანვრიდან ახალ კოდექსთან ერთად, კერძოდ 14-დან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა 1/3 -ით მცირდება და საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს, იგივე პრინციპი მოქმედებს 16-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებისათვის, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთის ვადა მცირდება 1/4 - ით და საბოლოო სასჯელის ვადა არ

[69] იხ. ვარძელაშვილი ი, არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი), არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2017, გვ. 153

[70] იქვე, გვ. 155

უნდა აღემატებოდეს 12 წელს, რაც საერთო სასამართლოებმა შესანიშნავად დაამკვიდრეს პრაქტიკაში კანონის მოთხოვნისამებრ.

„არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მყოფი არასრულწლოვნისათვის გარანტირებული უნდა იყოს შინაარსობრივი ქმედებებითა და პროგრამებით სარგებლობა, რომლის მიზანიც იქნება მისი პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდა და იმ დამოკიდებულებებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესება, რაც მას დაეხმარება საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებაში.“[71]

ყოველივე ზემოთქმულს ეფუძნება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 84-ე მუხლი, რომელიც მიზნათ ისახავს არასრულწლოვნისათვის საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებას, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია. თავისუფლების აღკვეთის გამოყენება სრულწლოვანთან შედარებით „ადვილია“, განსხვავებულად არასრულწლოვნებისა, რადგან ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოსამართლეს უწევს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე დანიშნოს სასჯელი. ამის მაგალითად მაია ივანიძეს მოყვანილი აქვს სისხლის სამართლის საქმე, სადაც არასრულწლოვანი სამი წლის განმავლობაში ოთხჯერ იქნა გასამართლებული საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის და მან კვლავ ჩაიდინა ახალი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. წინამდებარე შემთხვევებში მას საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა და პირობით ვადამდე განთავისუფლდა. ამ შემთხვევაში კი მოსამართლემ გამოიყენა თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ბრალდებულის მიმართ გამოვლენილმა ლოიალურმა მდგომარეობამ ვერ უზრუნველყო მისი გამოსწორება და მაინც არ

[71] იხ. შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 218

შეწყვიტა დანაშაულებრივი საქმიანობა.[72] ყველა შემთხვევაში ვერ მოხერხდება პირის საპატიმრო სასჯელისაგან დახსნა, ყველა შემთხვევა ინდივიდუალურია და საჭიროებს თავისებურ მიდგომას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კანონი არ ითხოვს კანონდამრღვევი დაისაჯოს სრული სიმკაცრით, არამედ მოხდეს მისი ხელახალი აღზრდა, მოინანიოს თავისი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, შეურიგდეს დაზარალებულს, სახელმწიფოს, აანაზღაუროს ზიანი. „სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდებულნი შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტი შესრულების, საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. აგრეთვე აცდენილ იქნეს ახალ დანაშაულთა ჩადენა როგორც მსჯავრდებულთა, ისე სხვა პირთა მიერ.“[73]

3.2 რესოციალიზაცია უვადო თავისუფლების აღკვეთის დროს

უკანასკნელი წლების მანძილზე სისხლის სამართლის კოდექსმა ძირეული ცვლილებები განიცადა, რაც გამოიხატებოდა სასჯელის სახეებისა და მიზნების ცვლილებაში. სასჯელები უფრო ლიბერალური გახდა და სასჯელის მიზნების განხორციელება დაისახა კანონმდებელმა მთავარ ამომავალ წერტილად, რასაც მოწმობს საკმაოდ რადიკალური სახეცვლა სისხლის სამართლის კოდექსის გარკვეული ასპეკტების ცვლილებისა. უვადო თავისუფლების აღკვეთაზე მსჯელობისას არ შეიძლება შევეხოთ ადრეულ კანონმდებლობას. სისხლის

[72] იხ. ივანიძე მ, სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1, თბილისი, 2017, გვ. 15

[73] იქვე. გვ. 16

სამართლის კოდექსის პოსტსაბჭოთა რედაქციაში გათვალისწინებული იყო სიკვდილის დასჯის ინსტიტუტი, რაც საკმაოდ გახმაურებულ საქმეებზე იქნა გამოყენებული სასჯელის სახედ, როგორიც იყო ე.წ. „თვითმფრინავის ბიჭების საქმე“ და სხვა.

XX საუკუნის 90-იანი წლების აქტიურმა სამეცნიერო და არასამთავრობო წრეებმა აქტიური აგიტაცია დაიწყეს აღნიშნული მუხლების გასაუქმებლად. ამიტომ, 1960 წლის 30 დეკემბერს მიღებული სისხლის სამართლის კოდექსი შეიცვალა 1999 წლის 22 ივლისის განახლებული და ლიბერალური კოდექსით, სადაც გაუქმებული იყო სიკვდილით დასჯა და საჭიროება მოითხოვდა, რომ აღნიშნულის მაგივრად სხვა სასჯელის ზომა ყოფილიყო, კერძოდ კი - უვადო თავისუფლების აღკვეთა.[74]

სისხლის სამართლის კოდექსის 51-ე მუხლი აწესებს უვადო თავისუფლების აღკვეთის პირობებს. კერძოდ, უვადო თავისუფლების აღკვეთა ინიშნება მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დროს, აგრეთვე ეს სასჯელის ფორმა არ გამოიყენება 60 წელს გადაცილებული პირის მიმართ. აქ ვერ ვხვდებით დათქმას არასრულწლოვნის შემთხვევაში. არასრულწლოვანს ვერ დაენიშნება უვადო თავისუფლების აღკვეთა, რადგან ეს ეწინააღმეგება მის საუკეთესო ინტერესებს, აგრეთვე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექს. არასრულწლოვნის შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ზომა არის 12 წელი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლიდან გამომდინარე.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით სასჯელის მიზნებია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.[75]

რესოციალიზაციის პროცესისათვის საკმაოდ რთული გზა უნდა გაიაროს სამუდამო თავისუფლებააღკვეთილმა მსჯავრდებულმა, ამისათვის უმთავრესი

---

[74] იხ. ვარძელაშვილი ი, სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გვ. 108

[75] იხ. ნაჭყებია გ, სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრებისა და თავისუფლების უვადო აღკვეთის მიმართების პრობლემა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, 2013, გვ. 113

როლი სასჯელაღსრულებით დაწესებულებას ენიჭება. ამიტომ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული ჩანაწერი პირობით ვადამდე განთავისუფლების შესახებ მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირის რესოციალიზაციის პროცესში. „უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდება პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლების გარეშე არ უნდა იქნეს გამოყენებული არცერთი კატეგორიის მსჯავრდებულთან მიმართებით. ამგვარი უფლების არ არსებობა შეესაბამება არა მარტო არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას, არამედ ხელს უშლის მსჯავრდებულის რესოციალიზაციას.“[76]

3.3 რესოციალიზაცია ზოგიერთ არასაპატიმრო სასჯელთა გამოყენების დროს

სისხლის სამართლის პოლიტიკა მეტად ლიბერალურია, რაც ბოლო წლების მანძილზე კანონმდებლობის ცვლილებით განხორციელდა. 2018 წლამდე ზემოთაღნიშნული სასჯელის ერთ-ერთ სახედ გათვალისწინებული იყო თავისუფლების შეზღუდვა, რაც 2017 წელს განხორციელებული ცვლილებით ამოღებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსიდან და დაემატა ახალი სასჯელის სახე, შინაპატიმრობა,[77] რაც მანამდე გათვალისწინებული იყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით,რომელიც ძალაში 2016 წლის 1 იანვარს შევიდა.[78] მხოლოდ არასრულწლოვნების მიმართ გამოიყენებოდა სასჯელის აღნიშნული სახე.

თავისუფლების აღკვეთა სახელმწიფოს, შეიძლება ითქვას, რომ მძიმე

---

[76] იხ. ვარძელაშვილი ი, სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გვ. 109

[77] იხ. საქართველოს კანონი სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, დოკუმენტის ნომერი 944-IIს. 1 ივნისი, 2017წ.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/3696184#DOCUMENT:1;

[78] იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281

ტვირთად აწევს, მითუმეტეს, ისეთ სახელმწიფოს, როგორიც საქართველოა. სასჯელაღსრულებითი დაწესებულებები გადავსებულობის პრობლემას ებრძვის. ამიტომ ალტერნატიული სასჯელების გამოყენების აქტუალობა ჩვენს რეალობაში მკაფიოა. „რესოციალიზაციის პრობლემა დაკავშირებულია არა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის, არამედ ალტერნატიული სასჯელების გამოყენებასთანაც.“[79]

ა) ჯარიმა

ჯარიმა არასაპატიმრო სასჯელებს შორის ყველაზე მსუბუქი სასჯელის ფორმაა. სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლში იგი გათვალისწინებულია სასჯელის სახეების თავში, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ კანონმდებელმა ეს სასჯელის სახე დააწესა, როგორც სახელმწიფოს მინიმალური ზემოქმედება კანონდამრღვევ პირზე, რაც ერთი ორად მოწმობს, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა რესოციალიზაციის პროცესში.„ჯარიმა არის ფართოდ გავრცელებული და გამოყენებადი ალტერნატიული სასჯელი, ვინაიდან მისი გამოყენება არ არის დაკავშირებული მსჯავრდებულის საზოგადოებისგან იზოლირებასთან“[80] ჯარიმა აგრეთვე გათვალისწინებულია არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაეროს სტანდარტულ მინიმალურ, ე.წ. „ტოკიოს წესებში“.[81]

სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მიხედვით ჯარიმა არის ფულადი გადასახდელი და მისი მინიმალური ოდენობა 2000 ლარია, ხოლო თუ სისხლის სამართლის კოდექსის სანქცია ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას

[79] იხ. ვარძელაშვილი ი, სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გვ. 119
[80] იხ. ივანიძე მ, ალტერნატიული სასჯელები, მზია ლეკვეიშვილი - 85 , საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014, გვ 23
[81] იხ. პრობაციის საერთაშორისო სტანდარტების კრებული. თბილისი, 2010, გვ. 47

სამ წლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები. ჯარიმის ოდენობას სასამართლო ადგენს დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით. თუ მსჯავრდებული თავს აარიდებს ჯარიმის გადახდას, იგი შეიცვლება სხვა სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული სასჯელის სახეებით, მათ შორის თავისუფლების აღკვეთითაც კი.[82]

სასჯელის სახით ჯარიმის დანიშვნის დროს მოსამართლე უნდა იყოს დიდი სიფრთხილითა და ყურადღებით , რათა შეუსაბამო სასჯელის ფორმის გამოყენების დროს ვერ მოხდება სასჯელის ვერც ერთი მიზნის მიღწევა, განსაკუთრებით ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია, რადგანა არაპროპორციული სასჯელის დანიშვნამ შეიძლება გამოიწვიოს ხელახალი კრიმინალისაკენ მიდრეკილება, ბიძგი, რომ სასჯელის სახედ დანიშნული ჯარიმის რაოდენობის გადახდისთვის მსჯავრდებულმა ჩაიდინოს ახალი დანაშაული.[83]

2016 წელს ამოქმედდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის მეშვეობითაც კანონმდებელმა გამიჯნა არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული პირების უფლება-მოვალეობები სრულწლოვანი პირებისაგან. აღნიშნული ერთპიროვნულად მოსაწონია. ეს კოდექსი ლიბერალური მიდგომებით გამოირჩევა სასჯელების ნაწილშიც. არასრულწლოვლისათვის თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ უკიდურეს მდგომარეობაში და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უპირატესად გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. ამიტომაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა შედარებით სისხლის სამართლის კოდექსთან, ლიბერალური მიდგომა დაგვანახა, შეამცირა რა ამ უკანასკნელით დადგენილი ჯარიმის მინიმუმი, ნახევრამდე, ხოლო მოსამართლეს გაუჩინა საზრუნავი, არ დანიშნოს სასჯელის სახედ ჯარიმა, თუ არასრულწლოვანს არ აქვს

---

[82] იხ. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 42, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426

[83] იხ. დვალიძე ი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ 44-45

დამოუკიდებელი შემოსავალი.

2018 წლის თებერვლის სტატისტიკით სულ დანაშაულთა რაოდენობა გალხდათ 1264, დანიშნულ სასჯელთა ერთობლიობა კი 1378. აქედან საკმაოდ დიდი ნაწილი უკავია სასჯელის სახით ჯარიმის დანიშვნას, ძირითად სასჯელად 261 , ხოლო დამატებით სასჯელად 209 შემთხვევაში გამოიყენა ჯარიმა[84], სასამართლო პრაქტიკის ანალიზით კი ჯარიმა როგორც ძირითად ისე დამატებით სასჯელად ინიშნება სხვადასხვა ზომით, მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც სასამართლო ხელისუფლების ლიბერალურ მიდგომაზე მეტყველებს. აღნიშნული არის მსჯავრდებულის რესოციალიზაციისაკენ გადადგმული უმთავრესი ნაბიჯი.[85]

ბ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა

არასაპატიმრო სასჯელებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას უკავია. იგი სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლითაა გათვალისწინებული და რესოციალიზაციის პროცესისათვის ძალზედ მნიშვნელოვან სასჯელის სახედაა მიჩნეული და ნიშნავს მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ინიშნება ორმოციდან რვაას საათამდე ვადით. თუ მსჯავრდებული თავს აარიდებს მას, ის შეიძლება შეიცვალოს ჯარიმით, შინაპატიმრობითა ან თავისუფლების აღკვეთით. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ვადა გამოიანგარიშება საათებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეთა შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება. არასრულწლოვანთა

[84] იხ. სტატისტიკა. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/crime/tebervali/danarti%20tebervali-2018.pdf , გვ 102
[85] იქვე.

მართლმსაჯულების კოდექსი უფრო ლიბერალური მიდგომით გამოირჩევა, კერძოდ ზემოთაღნიშნულ კანონში 71-ე მუხლის მიხედვით არასრულწლოვანს აღნიშნული სასჯელი ენიშნება 40 დან 300 საათამდე ვადით, ყოველდღიურად კი ასეთი შრომა არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს. მისმა აღსრულებამ ხელი არ უნდა შეუშალოს ანაზღაურებად საქმიანობას ან სწავლების პროცესს. როგორც სრულწლოვნის, ისე არასრულწლოვნის შემთხვევაში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ინიშნება როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

2018 წლის უახლესი სტატისტიკის მიხედვით 1378 დანიშნულ სასჯელთა შორის 58 შემთხვევაში სასამართლომ პირს დაუნიშნა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ძირითად სასჯელად, ხოლო დამატებით სასჯელად დანიშვნის 91 შემთხვევა იყო[86], რაც ცხადყოფს აღნიშნული სასჯელის სახის ნელ-ნელა დამკვიდრებას. „მიჩნეულია, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების უპირატესი ხასიათი თავისუფლების აღმკვეთ სასჯელებთან მიმართებით სხვა მრავალი პოზიტიური ასპექტის გარდა, როგორიც არის მაგალითად, რესოციალიზაციის უკეთესი პერსპექტივა, შეიძლება აისახოს ასევე, სასჯელის ეკონომიის პრინციპის თვალთახედვიდანაც.“[87]

სასამართლომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა უნდა გამოიყენოს შედარებით მსუბუქ და ნაკლები ზიანის მომტან დანაშაულებების შემთხვევაში,[88] რაც რესოციალიზაციის პროცესს ეფექტურს და უფრო სწაფს გახდის, აქვე საუბარია მსჯავრდებულის შესაძლებლობაზე, „გამოისყიდოს მის მიერ ჩადენილი დანაშაული. ალტერნატიულ სასჯელად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კონკრეტულ მსჯავრდებულთა

---

[86] იხ. სტატისტიკა. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/crime/tebervali/danarti%20tebervali-2018.pdf , გვ. 102

[87] იხ. ხერხეულიძე ი, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა - არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი, მართლმსაჯულება და კანონი №2, 2011, გვ 119

[88] იხ. ვარძელაშვილი ი, სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გვ. 122

რესოციალიზაციაზე.“[89]

საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაო სრულდება გარკვეულ საწარმოებში, სკვერებში, ბაღებში. საჯარო დაწესებულებებსა თუ კერძო ორგანიზაციებში. არასრულწლოვნების შემთხვევაში განსხვავებული მიდგომაა საჭირო, კანონმდებლობის მიხედვით სამუშაომ ხელი არ უნდა შეუშალოს საგანმანათლებლო პროცესს ან ანაზღაურებად საქმიანობას.[90]

„საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მთავარი დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ მსჯავრდებულს უნდა ჩამოუყალიბდეს დამოუკიდებელი ცხოვრების უნარი. მან სასჯელის მოხდის შემდეგ უნდა შეძლოს საზოგადოებაში პატიოსანი ცხოვრება დანაშაულის ჩადენის გარეშე. რესოციალიზაცია ემსახურება თავად საზოგადოებასაც, რომელიც დაინტერესებულია, რომ დამნაშავემ აღარ განიცადოს რედიციცვი.“[91]

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, მისი დეფინიცია, გამოყენების პირობები გათვალისწინებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხვადასხვა რეკომენდაციაში. ქართული კანონმდებლობით კი მისი აღსრულებისა და გამოყენების პირობები დადგენილია „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“[92] საქართველოს კანონის მიხედვით. სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახეს განსაზღვრავს პრობაციის ბიურო, რომელიც ექვემდებარება პრობაციის ეროვნული სააგენტოს. აღნიშნული სააგენტოს მიზნებია კანონით განსაზღვრული სამართლებრივი აქტების აღსრულება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია, რისი განხორციელების მიზნითაც პრობაციის

---

[89] იხ. ვარძელაშვილი ი, სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გვ. 122

[90] იხ. შვაბე ი, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2011, გვ. 216

[91] იქვე.

[92] იხ. კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, https://matsne.gov.ge/ka/document/view/21610

ეროვნულმა სააგენტო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრთან შეთანხმებით, უფლებამოსილია საკუთარი შემოსავლებიდან დააფინანსოს კულტურული, სოციალური და სხვა ღონისძიებები.[93]

კანონმდებლობით აღნიშნული სასჯელის მაქსიმალური ზომა არის 800 საათი(არასრულწლოვნების შემთხვევაში 300 საათი). საპროცესო შეთანხმების დროს კიდევ შეიძლება აღნიშნული ვადა გაიზარდოს. „მსჯავრდებულისათვის არ შეიძლება ისეთი სასჯელის დაკისრება, რომელიც მისთვის იქნება შესასრულებლად რთული და გამოიწვევს მის მიერ შესასრულებელ სამუშაოზე უარის თქმას."[94] აღნიშნული საკმაოდ შემაფერხებელი ბარიერი იქნება მისი რესოციალიზაციია და რეაბილიტაციის პროცესში. შესაძლოა მოხდეს მისი ეტიკეტირება და ვეღარ დაბრუნდეს საზოგადოების სრულფასოვან წევრად.

შესრულებული სამუშაოს ხანგრძლივობას, მოცულობას აღრიცხავს დამსაქმებელი. აღნიშნულს კი ამოწმებს და შესაბამის ოქმს წერს პრობაციის ოფიცერი.[95] საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის წესებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში პრობაციის ოფიცერი აფრთხილებს მსჯავრდებულს შესაძლო პასუხისმგებლობის შესახებ. თუ მსჯავრდებული უარს აცხადებს აღნიშნულ სასჯელის სახეზე ან თავს არიდებს მას, პრობაციის ბიუროს უფროსი მიმართავს სასამართლოს სხვა სახის სასჯელის გამოყენების თაობაზე. [96] აგრეთვე გაითვალისწინება საპატიო პირობები, რაც გამოიხატება მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობაში, დაუძლებელი პირობების არსებობაში და სხვა.[97]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასჯელის ეს ფორმა, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 1999 წლიდან არის, ბოლო დროს

---

[93] იქვე. მუხლი 7

[94] იხ. კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ", https://matsne.gov.ge/ka/document/view/21610

[95] იგივე. მუხლი 32

[96] იგივე. მუხლი 33

[97] იგივე. მუხლი 12პრიმა

უფრო აქტიურად გამოიყენება, ისე როგორც ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაში. არასაპატიმრო სასჯელის ეს სახე წარმოადგენს სასჯელის მიზნის, რესოციალიზაციის და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მთავარ დასაყრდენს სასჯელის სისტემაში. მისი გამოყენებით შეიძლება მსჯავრდებული გამოსწორდეს და ჩადგეს ჩვეულ კალაპოტში, მიეჩვიოს არადანაშაულებრივ ცხოვრების წესს და გამოსწორდეს.

გ) შინაპატიმრობა

2018 წლის 1 იანვრიდან სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება. სასჯელის სახეები შეიცვალა, კერძოდ, კანონმდებელმა მიზანშეწონილად მიიჩნია სასჯელებიდან ამოეღო თავისუფლების შეზღუდვა და შემოიტანა შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის ერთ-ერთი სახე. ეს ინსტიტუტი ახალი იყო სისხლის სამართლის კოდექსისათვის, მაგრამ არა სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის. 2016 წლის 1 იანვირად ამოქმედებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ითვალისწინებდა შინაპატიმრობას, რაც პრაქტიკისათვის ერთობ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა და საკმაოდ ფართო და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სასჯელის სახეებს შორის. „შინაპატიმრობა არის საკუთარ სახლში დაპატიმრებას, სახლიდან გაუსვლელობის ვალდებულებას ასახავს. სახლიდან გაუსვლელობა პირს განსაზღვრული დროის განმავლობაში ეკისრება. იგი ვალდებულია ან კონკრეტულ (ღამის) საათებში არ დატოვოს თავისი საცხოვრებელი, ანდა თავისუფალი დღეები ან განსაზღვრული ოდენობის დღე-ღამე სახლში გაატაროს.“[98] შინაპატიმრობა არასაპატიმრო სასჯელთა სახეს წარმოადგენს, მაგრამ ის გარკვეულ წილად თავისუფლების შეზღუდვას ემსგავსება, საკითხების განსხვავებით.

[98] იხ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, ელექტრონული ზედამხედველობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 695

შინაპატიმრობა პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში 1983 წელს იქნა გამოყენებული და ის მის სამშობლოდ ითვლება. ის სამ სხვადასხვა სახეს მოიცავს, ესენია, ე.წ. „კომენდანტის საათი“, რომელიც პირს ვალდებულებას აკისრებს, არ გავიდეს სახლიდან ღამის საათებსა და შაბათ-კვირას. შედარებით მსუბუქი სახეა, რომელიც პირს ავალდებულებს მხოლოდ გარკვეული მიზნებისათვის დატოვოს საცხოვრებელი სახლი და მესამე, ყველაზე მკაცრი ფორმა, რომელიც გარესამყაროსგან სრულ იზოლაციას გულისხმობს, რაშიც სტუმრის მიღების აკრძალვაც კი იგულისხმება.[99] იგი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენება, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა, წინასწარი პატიმრობის ალტერნატივა და სხვა ლიბერალური მიდგომების შედეგად დამკვიდრებულ საშუალებებად.

შინაპატიმრობის აღსრულება ხორციელდება პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ ელექტრონული ზედამხედველობის მეშვეობით. მისი აღსრულების მექანიზმი არის ელექტრონული ზედამხედველობა, რაც აქამდე მხოლოდ არასრუწლოვნების შემთხვევაში გამოიყენებოდა, ამიტომ სრულწლოვნების მიმართ სასჯელის ამ სახის გამოყენების პრაქტიკა მცირეა.

ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენება ხორციელდება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით №178 „ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.“[100] ელექტრონული ზედამხედველობა გულისხმობს ელექტრონული აპარატურის საშუალებით მსჯავრდებულის კონტროლს, ხოლო სასჯელის სახით შინაპატიმრობის გამოყენებისას ელექტრონული აპარატურის გამოყენებით მსჯავრდებულის

---

[99] იქვე. იხ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, ელექტრონული ზედამხედველობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 696-697

[100] იხ. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №178, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3128308

საცხოვრებელ ადგილზე ყოფნის უწყვეტ კონტროლს.[101]

ქართული კანონმდებლობა შინაპატიმრობას, როგორც სასჯელის სახეს 2018 წლამდე მხოლოდ იუვენალურ კანონმდებლობაში იცნობდა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლი ითვალისწინებს შინაპატიმრობას, რომელიც ინიშნება 6 თვიდან 1 წლამდე ვადით და იგი შეიძლება დაინიშნოს ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. სისხლის სამართლის კოდექსთან შედარებით, სადაც შინაპატიმრობა ინიშნება 6 თვიდან 2 წლამდე ვადით, შედარებით ლიბერალური მიდგომაა. აღნიშნული ფაქტი საერთოდ არ შეესაბამება კანონმდებლობას და საერთაშორისო სტანდარტებს. არ არის გათვალისწინებული არასრულწლოვნის ინტერესები, მითუმეტეს, რომ სასჯელის მიზნებად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი უპირველესად რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას განიხილავს და ხელმძღვანელობს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებით. ახალი სისხლის სამართლის კოდექსის რედაქციით, თუ პირი ჩაიდენს მძიმე დანაშაულს, არ იქნება ნასამართლევი და შინაპატიმრობა შესაბამისი მუხლით სასჯელის სახედ იქნება გათვალისწინებული, მოსამართლე სრულიად თავისუფლად დაუნიშნავს მას შინაპატიმრობას, მაგრამ იგივე არასრულწლოვნის შემთხვევაში თუ მოხდა, კანონი არ აძლებს სასამართლოს დაუნიშნოს მას შინაპატიმრობა, რაც ხარვეზია და კანონმდებლის რეაგირებას საჭიროებს. საპირწონედ, სრულწლოვანი მსჯავრდებულების შემთხვევაში კანონმდებელმა ნასამართლობის არ ქონდა დაასახელა ერთ-ერთ ნიშნად, რათა დაინიშნოს შინაპატიმრობა, რაც არ გვხვდება არასრულწლოვნების შემთხვევაში. აღნიშნული მისასალმებელია და ეთანხმება სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიზნებს. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია, რომ გათვალისწინებული იყოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, რაც მოიცავს იმას, რომ სასჯელის მიზანი იყოს არა მისი დასჯა, არამედ გამოსწორება. მთავარი

[101] იხ. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №178, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3128308

მიზანია, რომ არასრულწლოვანი მაქსიმალურად იყოს არიდებული პენიტენციურ დაწესებულებას.“[102] შინაპატიმრობისაგან თავის არიდების შემთხვევაში იგი შემთხვევაში , იგი შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით. იგი არ დაენიშნება გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეს და ოჯახური დანაშაულის ჩამდენ პირს, ასევე მისი მოხდის პერიოდში მსჯავრდებულს ეკრძალება საქართველოს საზღვრების დატოვება.[103] არასრულწლოვნის შემთხვევაში დაკონკრეტებულია, რომ სასჯელის ამ სახემ ხელი არ უნდა შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს.

ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, ხომ არ უშლის ხელს ელექტრონული მონიტორინგი და შინაპატიმრობის აღსრულება მსჯავრდებულის კონსტიტუციური უფლებების რეალიზაციასა სასჯელის მიზნების განხორციელებას? შინაპატიმრობის აღსრულება ხდება ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით მსჯავრდებულის ფეხზე სპეციალური ელექტრონული სამაჯურის მორგების მეშვეობით. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მიხედვით ყველა ადამიანს აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, რაც იზღუდება შინაპატიმრობის აღსრულების შედეგად, რადგან ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც წელიწადის გარკვეულ დროს მაინც ადვილად შესამჩნევია გარშემომყოფთათვის, თვალსაჩინო ნიშანია პირის მსჯავრდებულობისა და მისი სტიგმატიზაციისა.[104] სასჯელის მიზანი კი გახლავთ რესოციალიზაცია, უზრუნველყოფს კი შინაპატიმრობის ასრულება სასჯელის ამ მიზანს? იმის გათვალისწინებითაც, რომ იგი ახდენს არა მარტო პირის სტიგმატიზაციას, თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვას, არამედ კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებას.[105] შინაპატიმრობის

---

[102] იხ. მახარობლიძე თ, შინაპატიმრობა, როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში, გურამ ნაჭყებია - 75, საიუბილეო კრებული, რედ. ნონა თოდუა, თბილისი, 2016, გვ. 282

[103] იხ. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 47 პრიმა, შინაპატიმრობა

[104] იხ. არსოშვილი გ, მიქანაძე გ, შალიკაშვილი მ, პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 166

[105] იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 20

გამოყენებისას არ არის გათვალისწინებული მსჯავრდებულის თანხმობა, არასრულწლოვნის შემთხვევაში კი ასევე კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.[106]

„შინაპატიმრობის ელექტრონული მონიტორინგით აღსრულებისას კი ხდება ამ უფლების შეზღუდვა. თუ არ იქნება მსჯავრდებულის თანხმობა, გამოდის ისე, რომ პირის ნების საწინააღმდეგოდ სახელმწიფო იჭრება მის პირად ცხოვრებაში."[107] აგრეთვე იზღუდება უფლება საკუთარი პიროვნების წარმოსახვაზე. „ადამიანს უფლება აქვს ისე წარსდგეს საზოგადოების წინაშე, როგორც თავად სურს, მაგალითად, წარმოაჩინოს თავისი დადებითი მხარეები."[108] აგრეთვე იზღუდება საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება, რადგან ელექტრონული მოწყობილობა მორგებულ ადამიანს არ და ვერ ექნება შესაძლებლობა დასაქმდეს. ყველა დამსაქმებელი მოერიდება მის სამუშაოზე აყვანას, განსაკუთრებით სახელმწიფო და მარკეტინგულ დაწესებულებებში. საზოგადოებასთან ურთიერთობაც სასჯელის აღნიშნულის სახის დროს არის მეტად შეზღუდული, ეს არის ერთგვარი სტრესი, სტატუსი და დამღა ადამიანისათვის, რომ იგი მსჯავრდებულია.

შინაპატიმრობა დღევანდელი კანონმდებლობით არასაპატიმრო სასჯელებს განეკუთვნება. მას მოიაზრებენ, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივას, მაგრამ არის კი იგი თავისუფლების აღკვეთაზე მსუბუქი და ხომ არ იწვევს გარკვეულ უარყოფით ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ შედეგს მსჯავრდებულზე შეფასების საკითხია. ერთის მხრივ, მსჯავრდებული თავისუფალია, არ არის გამოკეტილი პენიტენციურ დაწესებულებაში, არ აქვს შეზღუდული განათლების მიღებისა და მუშაობის საშუალება, ახლობლებთან ურთიერთობა, მაგრამ მაინც რჩება სტიგმატიზირებულად.

ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი საუბრობს ელექტრონული სამაჯურის ტარებით

---

[106] იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 75, ნაწილი 3

[107] იხ. მახარობლიძე თ, ელექტრონული ზედამხედველობა, როგორც შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი იუვენალურ იუსტიციაში, მაია ივანიძე - 50 , საიუბილეო კრებული, თბილისი, 2017, გვ. 28

[108] იხ. გოცირიძე ე, „ყველას აქვს საკუთარი პიროვნების განვითარების უფლება", საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ. 98

გამოწვეულ ფიზიკურ ტკივილზე, კანის გადაყვლეფაზე, აგრეთვე გამოხატვის თავისუფლების გარკვეულ დეტალებზე, სამაჯურის განთავსების ადგილის გამო სამსახურებრივად საჭირო ამუნიციის ტარების შეუძლებლობაზე. აგრეთვე შეზღუდულ ჯგუფურ სპორტულ აქტივობებზე, რაც გამოწვეულია სამაჯურის ხილვადობითა და მსჯავრდებულ არასრულწლოვანში უხერხულობის შეგრძნების გამძაფრებით. არასრულწლოვნები ასეთი სასჯელის დროს სახლში ყოფნას ამჯობინებენ, ხოლო კვლევებით დასტურდება, რომ ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენების შედეგად სრულწლოვან, ჯანსაღ პირებს გარკვეული ფსიქოლოგიური გადახრები აღენიშნებათ.[109] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით წევრი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ,[110] ნათლად არის გამოხატული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და თანამეგობრობის პრიორიტეტები და რეკომენდაციები შინაპატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით. სასჯელის ეს სახე, რომელიც გამომდინარეობს სასჯელის ეკონომიურობიდან და ციხის გადატვირთულობის გამოსწორებას უწყობს ხელს, აგრეთვე არის შესანიშნავი საშუალება, რომ მსჯავრდებული მოარიდოს არასათანადო გარემოს, მიაჩვიოს ჯანსაღ სოციუმთან კავშირს, კონტროლის მეშვეობით მოარიდოს არასასურველ პირებთან ურთიერთობას, უზრუნველყოს ოჯახთან კავშირების გამყარება. შინაპატიმრობა არის შესანიშნავი სასჯელის სახე, რომელიც ახლა იმკვიდრებს თავს ქართულ რეალობაში. იმედია, როგორც საზღვარგარეთის ქვეყნებში, ისე გახდება ხშირად გამოყენებადი სასჯელის სახე სასამართლოს მიერ.

---

[109] იხ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში - ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1, ავტორთა ჯგუფი. თბილისი, 2017, გვ. 67

[110] იხ. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია NO. R (2014) 4 წევრი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ, მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2014 წლის 19 თებერვალს, მინისტრთა მოადგილეების 1192-ე შეხვედრაზე

დ) პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება

მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ კიდევ ერთი სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტი პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებაა.

პირობით ვადამდე გათავისუფლება მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლში. მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამოსასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა ან შინაპატიმრობა, შეიძლება პირობით ვადამდე გათავისუფლდნენ, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა. თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, მსჯავრდებული შეიძლება პირობით გათავისუფლდეს, თუ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის სასჯელის მთლიანად მოხდა აღარ არის საჭირო.[111] მსჯავრდებულს შეიძლება დაეკისროს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოვალეობები.[112] პირობით ვადამდე გათავისუფლებას თავისი ჩარჩოები აქვს, ეს გამოიხატება მსჯავრდებულის მიერ მოხდილ სასჯელის ვადაში, კერძოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის, სასჯელის ნახევარი, მძიმე დანაშაულისათვის - მოსახდელი სასჯელის არანაკლებ ორი მესამედი, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის - სამი მეოთხედი, და სხვა შემთხვევებში.[113] მსჯავრდებულის მიერ ფაქტობრივად მოხდილი თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა იყოს ექვს თვეზე ნაკლები.[114] პირობით ვადამდე გათავისუფლებული მსჯავრდებულის ყოფაქცევას აკონტროლებს კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანოები. მსჯავრდებულის რესოციალიზაციისაკენ

---

[111] იხ. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 72, ნაწილი 1
[112] იქვე, ნაწილი 2
[113] იქვე. ნაწილი 3
[114] იქვე, ნაწილი 4

კანონმდებლობის ლიბერალიზაციის კიდევ ერთი შესანიშნავი მაგალითია სსკ 72-ე პრიმა მუხლი, რაც ითვალისწინებს უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების სასჯელის გადასინჯვას, თუ მან მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი. სასამართლო მას ათავისუფლებს პირობით, კანონმდებლობით გათვალისწინებული გამოსაცდელი ვადით.[115] არასრულწლოვანთა შემთხვევაში აღნიშნული საკითხები შედარებით ლიბერალურია. „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისათვის ძალიან მნიშვნელოვანია პირობით ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტის არსებობა. თუმცა მსჯავრდებულთა ამ უფლების არასწორად განხორციელებამ შეიძლება სავალალო შედეგამდეც კი მიგვიყვანოს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის სამართლიანობის პრინციპზე აგება.“[116]

არასრულწლოვნების შემთხვევაში კანონი უფრო ლიბერალური და დამთმობია. ეს გამოიხატება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 95-ე მუხლში, სადაც სასჯელთა ზომები, პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ეს მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსით. გარდა ამისა, ზემოთაღნიშნული კოდექსის 98-ე მუხლი ითვალისწინებს არასრულწლოვნის გათავისუფლებლისათვის მომზადებას, სადაც მოცემულია სახელმწიფოს მიერ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებებლი, რაც განხორციელდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნის მისაღწევად. აგრეთვე მას დაევალება გარკვეული პირობების შესრულება. „თუ გათავისუფლებამდე არ დაგეგმილა ბავშვის საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფს, ფინანსური მხარდაჭერის და განათლების, დასაქმების ან საზოგადოებრივ პროგრამებში მონაწილეობის საკითხები, ბავშვს გაუჭირდება

[115] იხ. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 72 პრიმა

[116] იხ. ნიკოლეიშვილი კ, პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განმხილველი ადგილობრივი საბჭოს საქმიანობის შესაბამისობა სამართლიანი სასამართლოს სტანდარტთან (ზოგიერთი საკითხის ანალიზი), სამართლის ჟურნალი №2, 2014, გვ. 289

დაკისრებული პირობების შესრულება.“ [117]

2018 წლის ტატისტიკის მიხედვით, თებერვლის თვეში პენიტენციური დაწესებულებიდან პირობით ვადამდე გათავისუფლდა 71 მსჯავრდებული[118], რაც არ არის საწყისი ეტაპისათვის ცუდი შედეგი. მთავარია სახელმწიფოს მიდგომა აღნიშნულთან, რომ მსჯავრდებულის გამოშვება არ მოხდეს მხოლოდ ხალხის ხარჯზე და სახელმწიფომ აქტიური როლი უნდა შეასრულოს მსჯავრდებულის რესოციალიზაციაში.

„მნიშვნელოვანია, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლებული ყველა მსჯავრდებული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების მომენტიდან სარგებლობდეს სათანადო მხარდაჭერით, რაც უზრუნველყოფს მათ ყოფაქცევასა და მიდგომებში განხორციელებული ცვლილებების მდგრადობას.“[119] ვადაზე ადრე გათავისუფლებული მსჯავრდებული უნდა იყოს უზრუნველყოფილი ყველა საჭირო პირობებით, უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან მისი მონიტორინგი, კონტროლი, რათა განხორციელდეს სხვა დანაშაულის თავიდან აცილება და რაც ყველაზე მთავარია, მისი რესოციალიზაცია.[120]

სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიზანი არ არის მსჯავრდებულის ციხის კედლებში უნაყოფოდ გამოკეტვა. სასჯელმა უნდა უზრუნველყოს მისი მიზნების განხორციელება, კერძოდ, რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის მთავარი მიზანი, უნდა განხორციელდეს არა მხოლოდ მსჯავრდებულის, არამედ

---

[117] იხ. ჰამილტონი ქ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ნიუ-იორკი, 2011, გვ. 132

[118] იხ. სტატისტიკა, http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/crime/tebervali/danarti%20tebervali-2018.pdf, გვ. 119

[119] იხ. არსოშვილი გ, მიქანაძე გ, შალიკაშვილი მ, პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 224; ციტირებულია: B. Weaver, C. Tata, M. Munro, M. Barry, The Failure of Recall to Prison: Early Release, Front-Door and Back-Door Sentencing and the Revolving Prison Door in Scotland, European Journal of Probation, Vol. 4, N1, 2012, 85-98, [www.ejprob.ro]; არსოშვილი გ, მიქანაძე გ, შალიკაშვილი მ, პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 224

[120] იხ. მიქანაძე გ, პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება - ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა. ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, კონსტანტინე კორკელია, თბ. 2012, გვ 139

სახელმწიფოსი. აღნიშნულისათვის კი შესანიშნავი საკანონმდებლო ინსტიტუტია ვადაზე ადრე გათავისუფლება.

ე) ამნისტია

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ამნისტია და შეწყალება. მათი მნიშვნელობა ძალიან დიდია და უზრუნველყოფს იმედს, რომ სასჯელის მოხდის დროს მისი პირნათლად და დამჯერედ შესრულებისას მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან. სასჯელი „ნულოვანი ტოლერანტობის“ ნიადაგზე არ უნდა იქნეს გამოყენებული, არამედ უნდა იქნეს შესაძლებლობები მსჯავრდებულისათვის, რომ იგი გამოსწორდეს და დაუბრუნდეს სოციუმს. საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებიც სწორედ ამას მოიცავს, ჰქონდეს მსჯავრდებულს სასჯელისაგან ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობა. ამნისტია და შეწყალება კი შესანიშნავი ბერკეტია სახელმწიფოს მხრიდა, სასჯელის მოხდისაგან გაათავისუფლოს გამოსწორების გზაზე დამდგარი და გამოსწორებული მსჯავრდებულები. „ამნისტია და შეწყალება წახალისების ერთ-ერთი ფორმაა და მისი დანიშნულება მსჯავრდებულთა საზოგადოებაში ინტეგრაცია. სახელმწიფო სტიმულს აძლევს ამნისტიისა და შეწყალების საფუძველზე გათავისუფლებულ პირებს, ვადაზე ადრე დაბრუნდნენ საზოგადოებაში და თავი შეიკავონ დანაშაულებრივი ქმედებებისაგან.“[121]

საკანონმდებლო კუთხით, ამნისტია და შეწყალება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსში. 77-ე მუხლის მიხედვით ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ.

[121] იხ. ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გვ. 115

დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული სასჯელისაგან, მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შეიცვალოს ან შემცირდეს უფრო მსუბუქი სასჯელით. სასჯელმოხდილს ამნისტიის აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.[122]

ამნისტიის გამოყენებისა და მოქმედების პირობებს და გარანტიებს ითვალისწინებს საქართველოს კანონი „ამნისტიის შესახებ.“[123] აღნიშნული კანონის ახალი კანონპროექტი დამუშავების პროცესშია.

სტატისტიკის მიხედვით, 2018 წლის თებერვალში განხილულ იქნა 858 პირის საქმე, აქედან პრეზიდენტის მიერ შეწყალებულ იქნა 116 მსჯავრდებული, თავისუფლების აღკვეთის ვადა კი შეუმცირდა 43 მსჯავრდებულს.[124] „შეწყალების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, მსჯავრდებულს კიდევ ერთხელ მიეცეს შესაძლებლობა, სახელმწიფოს მეთაურის მხრიდან გამოჩენილი ჰუმანური დამოკიდებულებით დაიბრუნოს თავისუფლება და იქცეს საზოგადოების სრულფასოვან წევრად.“[125] ამიტომ, შეწყალების კომისია უზრუნველყოფს, რომ შესული განცხადებები სწორად და საფუძვლიანად იქნეს განხილული და ნამდვილად გამოსწორების გზაზე დამდგარი, არა ძალადობრივი მიდრეკილებების მქონე მსჯავრდებული გათავისუფლდეს სასჯელისაგან.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ამნისტიის კანონი თორმეტჯერ იქნა მიღებული, ყველაზე ფართომასშტაბიანი ამნისტია საქართველოს პარლამენტმა 2012 წლის 28 დეკემბერს მიღებული კანონით გამოაცხადა, რომლის საფუძველზეც ამნისტია შეეხო 17 718 ბრალდებულსა და მსჯავრდებულს.[126] ეს კი იყო გამოძახილი 2006 წლის 14 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტის მიერ კრიმინალის წინააღმდეგ ნულოვანი ტოლერანტობის პრინციპით ბრძოლისა, რასაც მოყვა

---

[122] იხ. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 77

[123] იხ. საქართველოს კანონი „ამნისტიის შესახებ“, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3326749

[124] იხ. სტატისტიკა, https://www.president.gov.ge/ka-GE/shecyalebis-komisia.aspx

[125] იხ. ავალიანი თ, ჩიტიძე გ, შეწყალების უფლებამოსილება, ქართული მოდელი და საერთაშორისო გამოცდილება, თბილისი, 2016, გვ. 14

[126] იხ. შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ, ხასია მ, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 270

ციხეების გადავსება, მსჯავრდებულთა პირობების გაუარესება და სხვა პრობლემები.[127]

მსჯავრდებულის რესოციალიზაცია ხორციელდება, როგორც სასჯელის მოხდის პერიოდში, ისე სასჯელის მოხდის, ან მისგან გათავისუფლების შემდეგ. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ყოფილი მსჯავრდებულების ფინანსური და სოციალური უზრუნველყოფა, რაც მიღწევადია მხოლოდ გაკრვეული კონტროლითა და ჩარევით სახელმწიფოს მხრიდან. „განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკის შემცირებისათვის აუცილებელია რესოციალიზაციის და რეინტეგრაციის ღონისძიებების განხორციელება.“[128]

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ამნისტია გამოიყენება გამოსწორებადი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების მიმართ, რაც აგრეთვე ციხის გადატვირთულობის აღკვეთის შესანიშნავი საშუალებაა.

[127] იხ. შალიკაშვილი მ, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013, გვ. 24-25
[128] იხ. ვარძელაშვილი ი, სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გვ. 116

თავი IV. რესოციალიზაცია სხვა ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით (შედარებითი ანალიზი)

4.1 რესოციალიზაცია გერმანიის ფედერაციის კანონმდებლობის მიხედვით

ქართული კანონმდებლობა იდეალურისაკენ ისწრაფვის. იგი კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემას მიეკუთვნება[129] და შესაბამისად, უნდა მიბაძოს ამ სამართლის ოჯახის უპირველეს სახელმწიფოს, როგორც კანონმდებლობით, ისე ძირეული რეფორმებით, რაც გატარდა ამ კანონმდებლობის იდეალურობის პიკისათვის მისაღწევად.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი რესოციალიზაციისა და გამოსწორების ზუსტ დეფინიციას არ იძლევა. ეს ცნებები გაბნეულია სხვადასხვა მუხლებში და ერთიანობაში ქმნის სასჯელის მიზნების განსაზღვრებას. ხოლო, გერმანული კანონი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის ღონისძიებების შესახებ[130] უფრო კონკრეტულია ამ საკითხთან მიმართებით და განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს, აგრეთვე სასჯელის მიზნებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს თავისუფლების აღკვეთის დროს. ამ კანონის მე-2 მუხლი ამბობს, რომ თავისუფლების აღკვეთის ერთადერთი მიზანია, გათავისუფლების შემდეგ ყოფილმა პატიმარმა შეძლოს იცხოვროს დანაშაულისაგან თავისუფალი და სოციალური პასუსიხმგებლობით სავსე ცხოვრებით.

აგრეთვე, პატიმრობის აღსრულება ემსახურება საზოგადოების დაცვას შემდგომი დანაშაულებისაგან.[131] ამით ის ემსგავსება და თითქმის ერთი შინაარისაა, როგორც საქართველოს პატიმრობის კოდექსის 1-ლი მუხლით გადმოცემულ სასჯელის მიზნები. ამავე კანონის მე-3 მუხლი ამბობს, რომ სასჯელის აღსრულების

---

[129] იხ. ხუბუა გ, სამართლის თეორია, თბილისი, 2004

[130] იხ. კანონი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის ღონისძიებების შესახებ, Gesetz über den Vollzug der Freiheitsstrafe und der freiheitsentziehenden Maßregeln der Besserung und Sicherung, https://www.gesetze-im-internet.de/stvollzg/BJNR005810976.html

[131] იქვე. მუხლი 2

პირობებში პატიმრის ცხოვრება ზოგად ცხოვრებისეულ ურთიერთობებთან შეძლებისდაგვარად მიახლოებული და გათანაბრებული უნდა იყოს, თავისუფლების აღკვეთის საზიანო შედეგები დაძლეულ უნდა იქნას. საჭიროა, ცხოვრება ციხეში მაქსიმალურად გავდეს ცხოვრებას საზოგადოებაში (რასაც ზოგჯერ ნორმალიზაციის პრინციპს უწოდებენ) და ორგანიზებული იყოს იმგვარად, რომ ხელს უწყობდეს პატიმართა საზოგადოებაში ინტეგრაციას.[132] აღნიშნული კანონით აგრეთვე დადგენილია თავისუფლების აღკვეთისა და პატიმრობის დროს სოციალური თერაპიის კურსების არსებობა, რომლებიც უზრუნველყოფენ პატიმრის სოციალურ რეაბილიტაციას და მისი აზროვნების „გამოჯანმრთელებას“.

გერმანიის პატიმრობის კოდექსის არცერთი კონკრეტული მუხლი არ ემსახურება მსჯავრდებულის, პატიმრის რესოციალიზაციის მიზანს, ისინი მიმობნეულია სხვადასხვა თავში და ერთიანობაში ქმნის პატიმრის გამოსწორების მიზნის მიღწევის საშუალებებს. ქართული პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლი კი განსაზღვრავს მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის საჭირო პროგრამებს, ამ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ძირითადი საშუალებებია: სასჯელის მოხდა დადგენილი წესის შესაბამისად; სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება; აღმზრდელობითი მუშაობა არასრულწლოვანთა მიმართ; მსჯავრდებულთა დასაქმება; ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღება; საზოგადოებასთან ურთიერთობა. ხოლო 117-ე მუხლი გვაძლევს კანონით დადგენილ მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამების ამოცანებს, რომელთა დახმარებითაც უნდა მოხდეს სასჯელის მიზნების განხორციელება. განსხვავებით, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 61-ე მუხლი იძლევა სარეაბილიტაციო პროგრამების ჩამონათვალს, ესენია: ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსება; დამოკიდებული პირების სპეციალურ დაწესებულებში მოთავსება; პრევენციის მიზნით დაკავება; ზედამხედველობის ქვეშ მოთავსება; მართვის მოწმობის ჩამორთმევა; პროფესიული საქმიანობის

[132] იხ. კანონი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის ღონისძიებების შესახებ,. მუხლი 3

ჩამორთმევის უფლება.[133] ხოლო, 62-ე მუხლის მიხედვით კი, რეაბილიტაციის ღონისძიებები არ უნდა განხორციელდეს, თუ ის არაპროპორციულია ჩადენილი დანაშაულისა, აგრეთვე საზოგადოებისათვის შექმნილი საფრთხის.[134] მაშასადამე, გერმანელი კანონმდებელი სასჯელის დანიშვნისას, მისი მიზნების განხორციელებისათვის სასჯელის პროპორციულობამდე მიდის და მას განიხილავს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის წინაპირობად.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, დანაშაული არის დამნაშავის დასჯის საფუძველი. სასჯელის დანიშვნის დროს გაითვალისწინება ის გარემოებები, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მსჯავრდებულის სასჯელის მოხდის შემდეგ საზოგადოებაში ცხოვრებისა და რეინტეგრაციის დროს.

გამოსწორებისა და საზოგადოების უსაფრთხოებისათვის საჭირო ზომების მიღებისათვის, გერმანელი სამართალმცოდნეების აზრით, მნიშვნელოვანია რესოციალიზაციისა და პრევენციის ფუნქციებისა და მიზნების რეალურად განხორციელება. ამიტომ, გერმანული სისხლის სამართლის პოლიტიკა პირის რესოციალიზაციისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით მიმართულია არასაპატიმრო სანქციების გამოყენებისაკენ, რადგან თავისუფლების აღკვეთა რესოციალიზაციისათვის მეტად ხელშემშლელია.[135]

გერმანული კანონმდებლობის მიხედვით სასჯელის მიზნებზე, კერძოდ კი რესოციალიზაციაზე, საუბრობს ი. შვაბე, რომელიც განიხილავს ამ კუთხით ერთ-ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, რომელიც მიიღო გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ. „რესოციალიზაციის კონსტიტუციურ-

---

[133] იხ. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 61

[134] იგივე. მუხლი 62

[135] იხ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, ელექტრონული ზედამხედველობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 79; ციტირებულია: Schöch, Gutachten zum 59. Deutschen Juristentag, München 1992. ix. Spiess, Wenn nicht mehr, wenn nicht geringe Strafen, was denn? S. 93.
http://www.unikonstanz.de/rtf/gs/Spiess_WennNichtMehrWennNichtHaertereStrafenWasDann_SozialeProbleme_2013.pdf ;

სამართლებივი პრინციპი ავალდებულებს კანონმდებელს, შექმნას და ჩამოაყალიბოს რესოციალიზაციის ეფექტური კონცეფცია და მასზე ააგოს მართლმსაჯულება.“[136] აგრეთვე ის აღნიშნავს სახელმწიფოს აქვს ფართო არჩევანი, მისთვის საჭირო სამეცნიერო თუ სოციოლოგიური დარგების მეშვეობით შეიმუშავოს ეფექტური მექანიზმი რესოციალიზაციის პროცესის სრულყოფისათვის.[137]

გერმანული სისხლის სამართლის ლიტერატურა ემხრობა რესოციალიაციის მიზანს.[138] „სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ სასჯელის აღსრულება წარმოადგენს დანაშაულთან ბრძოლისა და კონტროლის ინსტრუმენტს, რომლის მიზანია რესოციალიზაცია, რეციდივის თავიდან აცილება და საზოგადოების დაცვა.“[139] „სასჯელის აღსრულებამ, პირველ რიგში, დამნაშავეები უნდა გამოსწოროს. რაც ნიშნავს შრომისმოყვარეობის იძულებას, წესრიგისა და დისციპლინის დაცვას, რათა ისინი სასჯელის მოხდის შემდეგ საზოგადოებისათვის საფრთხეს აღარ წარმოადგენდნენ.“[140] რითაც ის ემსგავსება ქართულ კანონმდებლობას.

---

[136] იხ. შვაბე ი, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2011, გვ. 215

[137] იქვე. გვ 215-216

[138] იხ. ვარძელაშვილი ი, სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გვ. 182

[139] იქვე.

[140] იქვე.

4.2 რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის კანონმდებლობის მიხედვით

რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის მიზნის მნიშვნელობა ძალზედ დიდია. ამიტომაც, საჭიროა აღნიშნული ცნება განხილულ იქნეს როგორც კონტინენტური ევროპის, ისე პრეცედენტული სამართლის სტილისათვის დამახასიათებელი კანონმდებლობა, რაც მასთან კავშირში იქნება და უფრო ნათელს მოჰფეს იმ მნიშვნელოვან ასპექტებს, რაც შეიძლება ან არ ვერ იქნეს გათვალისწინებული რომანულ-გერმანული სამართლის სისტემით. მათ მსჯავრდებულის გამოსწორების შესატყვისი ტერმინად აქვთ რეაბილიტაცია, რომელიც სასჯელის მიზნებშიც გათვალისწინებულია.

სასჯელის მიზნებად, განსხვავებით ქართული კანონმდებლობისა, განისაზღვრება ხუთი ასპექტი, რომელთაგანაც უპირველეს ადგილას დგას დამნაშავის რეაბილიტაცია, რომლის მიხედვითაც სასჯელით ხდება მსჯავრდებულის აზროვნება და მორალი, რომ მათ აღარ განახორციელონ იგივე დანაშაულებრივი ქმედება. სასჯელი მიზნად ისახავს დამნაშავის ქმედებების ნორმალურ და საზოგადოებრივად მისაღებად ჩამოყალიბებას, აგრეთვე დამნაშვის მიერ მისი ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნებას. რეაბილიტაციის მიზანი მიმართულია დანაშაულის რეციდივის თავიდან ასაცილებლად.[141]

მსჯავრდებულის აზროვნებაში ცვლილებების განხორციელება არის მიზანი, რომელიც ხორციელდება სასჯელის შედეგად, რომელიც უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციას. რეაბილიტაციის განხორციელებისას უნდა მოხდეს სასჯელის მორგება დამნაშავის პიროვნებაზე და არა დანაშაულზე. საზოგადოების როლი დიდია მისი მიღწევისათვის, რომელმაც უნდა მოახდინოს დამნაშვის

[141] იხ. http://stage6.pbworks.com/f/Purposes+of+Punishment.pdf

გამოსწორებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. დანაშაული არის სოციალური დაავადება, რომელიც ექვემდებარება მკურნალობას.[142]

რესოციალიზაციის პროცესისათვის საპატიმრო სასჯელის გამოყენების უარყოფით მხარეებზე საუბრობს ზოგიერთი ავტორი, რომელიც ინტერვიუს საშუალებით გებულობს ყოფილი და მოქმედი პატიმრების აზრებსა და განცდებს. მის მიერ გაკეთებულ ჩანაწერებში დომინირებს ორი აზრი. ერთი, დამნაშვეები, რომლებიც ნაკლებადმნიშვნელოვანი დანაშაულის გამო ხვდებიან ციხეში და ციხიდან არა რესოციალიზირებულები, არამედ უფრო საშიშ დამნაშავეებად უბრუნდებიან საზოგადოებას, და მეორე, ციხე არ უზრუნველყოფს მსჯავრდებულის რეაბილიტაციას, არამედ ის უფრო განაწყნებული და გაბრაზებულები არიან სახელმწიფოზე მათ მიმართ გამოყენებული სასჯელის გამო.[143]

რეაბილიტაცია ხელს უშლის მომავალი დანაშაულის ჩადენას მსჯავრდებულის ქცევის შეცვლის გზით. რეაბილიტაციის შესანიშნავი საშუალებებია საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამები, აგრეთვე სხვადასხვა დამხმარე ცენტრები და ორგანიზაციები. მოსამართლე, რომელიც იყენებს არასაპატიმრო სასჯელს, რაც ერთმნიშვნელოვნად ამცირებს ციხეების გადავსების და გადატვირთვის საშიშროებას, ავალდებულებს მსჯავრდებულს მონაწილეობა მიიღოს სარეაბილიტაციო ღონისძიებებში, რითაც, სტატისტიკურად, ხდება რეციდივის დონის მკვეთრად შემცირება.[144]

ინგლისის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, მსჯავრდებულის გამოსწორების ერთ-ერთი საშუალება არის სასჯელი. ინგლისელ სამართალმცოდნეებსა და იურისტებში მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მნიშვნელობა ბოლო წლების მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა და ინგლისური

---

[142] იხ. Banks C, The Purpose of Criminal Punishmant, Criminal justice ethics : theory and practice, 2004, გვ. 116

[143] იხ. Van Ginneken E, The pain and purpose of punishment: A subjective perspective, 2016, გვ. 9

[144] იხ. http://open.lib.umn.edu/criminallaw/chapter/1-5-the-purposes-of-punishment/

სისხლის სამართლის კანონმდებლობის ბევრი ცვლილების საფუძველი გახდა. ინგლისელი სამართლის მკვლევარების აზრით, სასჯელი არ უნდა იყოს გამოყენებული მთელი სიმკაცრით, არამედ ის უნდა იყოს დანიშნული დამნაშავის პიროვნებისა და საზოგადოებრივი საშიშროების გათვალისწინებით. რესოციალიზაციის უპირატესობა მდგომარეობს არა სასჯელის სიმკაცრეში, არამედ შედარებით მსუბუქი და ნაკლებად „ძვირი“ სასჯელის სახის გამოყენებაში. ისინი მიიჩნევენ, რომ სასჯელის გამოყენება არ უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ სამაგიეროს მიზღვასა და დაშინებას, არამედ, რაც მთავარია, რესოციალიზაციას.[145] რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის მიზნის მნიშვნელობა მეტად პოპულარული ხდება ამერიკულ სამეცნიერო წრეებში, რომლებიც დანაშაულს ბიოლოგიურ ფაქტორებს უკავშირებენ და დამნაშვის რესოციალიზაციისა და გამოსწორების შესაძლებლობას ხედავენ ყველა პირში, მიუხედავად ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და საშიშროებისა.[146]

რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის მიზნის მიღწევის საშუალებებად ამერიკულ ლიტერატურაში მოყვანილია ისეთი საშუალებები, როგორიცაა პრობაციის სამსახური, პენიტენციური დაწესებულებები, სამსახურები, რომლებიც მიზნად ისახავს მსჯავრდებულების გამოსწორებას, ვადაზე ადრე გათავისუფლების უფლებამოსილების მქონე ორგანოები. აგრეთვე, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაძლიერდა თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სასჯელების გამოყენების პოლიტიკა, რაც გამოსწორებას უზრუნველყოფს. რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია გახდა მთავარი მიზანი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.[147]

სასჯელის უმთავრეს მიზნად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მიიჩნეოდა მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, რომელიც გულისხმობდა დამნაშვის გამოსწორებას და გარდაქმნას კანონმორჩილ და პროდუქტიულ საზოგადოების

---

[145] იხ. Крылова Н., Серебренникова А. Уголовное право зарубежных стран (Англии, США, Франции, Германии), 1997, გვ. 144

[146] იქვე. გვ. 145

[147] იხ. Correctional and the Criminal Justice System, გვ. 28-30

წევრად. ეს არის იდეალისტური ცნება, რომლის მიხედვითაც ყველა მოქალაქე შინაგანად არის კარგი და ყველა დამნაშავეს შეუძლია შეიცვალოს უკეთესობისაკენ.[148] ამის დასტურად, ამერიკელი სამართალმცოდნეები აღნიშნავენ, რომ რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია უნდა წარმოადგენდეს სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის უმთავრეს მიზანს, ვიდრე მორალური პასუხისმგებლობისა და სასჯელის მკაცრი ზომის გამოყენება.[149]

რესოციალიზაცია/რეაბილიტაიცია საბოლოოდ გულისხმობს დამნაშავის მიერ იმ პრობლემების გაცნობიერებას და აღქმას, რომლის გამოც ის წავიდა კანონის წინააღმდეგ და ჩაიდინა დანაშაული. ეს მიდგომა მიზნად ისახავს დამნაშვის მომავალი მართლსაწინააღმდეგო ქმედებები აღკვეთოს იმ გამოსასწორებელი პროგრამებით, რომლებიც არსებობს პატიმრობისა თუ ალტერნატიული სასჯელების გამოყენების დროს.[150]

რესოციალიზაცია არის მომავლისკენ მიმართული მიზანი. მაგრამ მისი განხორციელების დროს ზოგიერთი ავტორი ხედავს პრობლემებს. პირველი, თავად დამნაშვეს, მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს სურვილი გამოსწორების, და მეორე, ეს ეხება მისი გამოყენების სერიოზულობის საკითხს. მისი მიღწევა შეიძლება მხოლოდ კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, იქნება ეს საპატიმრო თუ სარეაბილიტაციო დაწესებულებების მიერ განხორციელებული პროგრამები.[151]

რეაბილიტაცია, ერთ-ერთი ამერიკელი სამართალმცოდნის აზრით, არის ნათელი გზა მართლმსაჯულების პროცესში, რათა აცილებულ იქნეს მომავალი დანაშაული.[152]

საზოგადოებრივი განათლების მნიშვნელობას აღნიშნავს კიდევ ერთი ამერიკელი ავტორი, რომელიც აღნიშნავს, რომ რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია

---

[148] იხ. Lippman M, Contemporary Criminal Law; concepts, cases, and controversies, second edition. Washington D.C., 2010, გვ. 56
[149] იქვე. გვ. 296
[150] იხ. Frase R.S, Punishment Purposes, Standford University, 2005, გვ. 70
[151] იხ. Materni Mike C., Criminal Punishment and the Pursuit of Justice, 2013, გვ. 292
[152] იხ. Albert Alschuler, The Changing Purposes of Criminal Punishment: A Retrospective on the Last Century and Some Thoughts about the Next, University of Chicago Law School, 2003, გვ. 9

არ იქნება განხორციელებული, სანამ არ მოხდება აღნიშნული სასჯელის მიზნის საჭიროებისამებრ გამოყენება, რეციდივის თავიდან აცილება არ იქნება განხორციელებული.[153]

მოკლე შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, ძირითად შემთხვევებში პრეცედენტული სამართლის ქვეყნების კანონმდებლობები და სამეცნიერო წრეები თანხმდებიან რესოციალიზაციის, რეაბილიტაციის და გამოსწორების უპირატეს მნიშვნელობაზე, განსხვავებით კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ქვეყნებისაგან, რომლებიც სამართლიანობის აღდგენას უფრო წინ აყენებენ. ქართულ კანონმდებლობასთან შედარებით შეიძლება ითქვას, რომ სამართალმცოდნეთა აზრი ერთმანეთს ემთხვევა რესოციალიზაციის უაღრესად დიდი მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ ეს არ არის კანონმდებლობით სრულიად განმტკიცებული როგორც ერთი, ისე მეორე შემთხვევაში.

[153] იხ. J. Skelly Wright, The Need for Education in the Law of Criminal Corrections, Valparaiso University Law Review, 1967, გვ. 86

დასკვნა

რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის მიზნის უპირატესი მნიშვნელობა ეჭვს არ ტოვებს. მისი მნიშვნელობა იმდენად დიდია, იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიო მოსახლეობის ზრდასთან ერთად იმატებს კრიმინალის დონე, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი ორგანოებისა და რესურსების მობილიზება ამ მხრივ, რათა დანაშაულის დონე შემცირდეს და უსაფრთხო სახელმწიფოებში იცხოვროს და განვითარდეს სოციალურად გამართული, ჩამოყალიბებული ერი.

დღესდღესობით აღნიშნული საკითხის აქტუალობა დგას დღის წესრიგში. ციხეებისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების გადავსება მთავარი პრობლემაა. სტატისტიკა, მართალია სრულ სურათს არ იძლევა, მაგრამ მიახოებით გვაჩვენებს, თუ რა მდგომარეობაა მსოფლიოში.

კვლევის შინაარსიდან გამომდინარე ვხვდებით უამრავ პრობლემას, რომელიც უკავშირდება რესოციალიზაციას. საკითხავია, მხოლოდ კანონმდებლობით სასჯელის მიზნების, მათ შორის კი უმთავრესის, რესოციალიზაციის გათვალისწინება არის კი საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ მხრივ ყველაფერი კარგადაა. რათქმაუნდა არა. ეს არის მხოლოდ მონახაზი, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ქვეყანამ, რომ მის მიერ აღებულ გეზს, რომელსაც დემოკრატიული სახელმწიფო ქვია, არ ჰქონდეს ამ მხრივ ნაკლი. სამართლის ლიტერატურაში არსებული უამრავი მოსაზრება, რომ სასჯელის ეს მიზანი პრაქტიკაში არ მოქმედებს, გარკვეულწილად შეიძლება გავამართლოთ, მაგრამ ისევ სტატისტიკის მოშველიებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმეტეს თუ არა, ნახევარ შემთხვევაში, როდესაც მსჯავრდებულისა და დამნაშვის მიმართ გატარდა შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოები, ისინი გამოსწორდნენ და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება მოხდა.

დემოკრატიის მიზანი არის ის, რაც უზრნველყოფს მშვიდ გარემოში

ცხოვრებას. მაგრამ ეს თუ მარტო მიზნად დარჩა, მაშინ ქვეყანა შეუმდგარია და მისი განვითარების დონეც, საეჭვოა, რომ წინ მიდიოდეს. მიმოხილული საკითხების გათვალისწინებით შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოში ამ საკითხის აქტუალობა დგას. კანონმდებლობამ ლიბერალური მიდგომები ჩამოაყალიბა. სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნა არასრულწლოვნების ნაწილი და იგი ცალკე კოდექსად ჩამოყალიბდა. არასრულწლოვნებთან ლიბერალური მიდგომების გამოყენება არის საფუძველი, რომ ნელ-ნელა იგი სრულწლოვან მსჯავრდებულებსაც შეეხება. აღნიშნულ კოდექსში სასჯელის მიზნების წინამძღოლად რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის საკანონმდებლო დადასტურება არის ის ნათელი წერტილი, რომელსაც უნდა გაყვეს მთლიანად კანონმდებლობა, რათა დროთა განმავლობაში იგივე საკითხები, იგივე მიდგომები სხვა მხრითაც იქნეს გამოყენებული.

რესოციალიზაციას სასჯელის მიზნებს შორის მთავარი ადგილი უნდა ეკავოს. სამაგიეროს მიზღვა, რომელიც დღევანდელ რედაქციაში სამართლიანობის აღდგენის სახით არის წარმოდგენილი, ვერ უზრუნველყოფს მსჯავრდებულის გამოსწორებას. საუბარი რაღათქმაუნდა ეხება ამ მიზნის მტკიცებით მოსამართლეთა მიერ თავისუფლების აღკვეთის სასჯელის სახედ დანიშვნას. ციხეში მყოფთა უმრავლესობა, სასჯელის მოხდის შემდგომ, უფრო დათრგუნული, „გაბრაზებული“ და უარესობისკენ შეცვლილია. ამიტომაც, სასჯელის ამ სახის გამოყენებას ნელ-ნელა განუდგნენ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები. ლიბერალიზაციის ტენდენციების გათვალისწინებით, მას უნდა მიბაძოს საქართველომაც, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს თვალდახუჭულად. მოსამართლეს, ერთი მცირე ხელჩასაჭიდი თუ მაინც ექნება, რომ პირი გამოსწორდება, არ უნდა დანიშნოს თავისუფლების აღკვეთა, არამედ გამოიყენოს ალტერნატიული სასჯელები, როგორიცაა ჯარიმა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, რომელიც მიჩნეულია ყველაზე ეფექტურ სასჯელის სახედ, შინაპატიმრობა, რაც ახალი ხილია მსოფლიოსთვის და მისდამი მიდგომები იხვეწება, ყალიბდება, მიუხედავად მისი, გარკვეულწილად, შეუსაბამობისა ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან. რესოციალიზაციის

მისაღწევად მნიშვნელოვანია აგრეთვე ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტი. როდესაც მსჯავრდებული ხედავს, რომ სახელმწიფო მას არა მთელი სიმკაცრით, არამედ გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებით და ლმობიერი პოლიტიკით ექცევა, საეჭვოა, რომ მოხდეს ამით მისი დანაშაულებრივი ქმედების წახალისება, პირიქით, ის დაფიქრდება, მეორე შანსის გამოყენებას შეეცდება. მეორე შანსის გამოყენების უფლება კანონმდებელმა უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებსაც მისცა, როცა შეიძლება მათი ვადამდე გათავისუფლება გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში. შეხედულება, რომ ნებისმიერი ადამიანი შეიძლება გამოსწორდეს და არ არსებობს გამუდმებით კრიმინალური ქმედებებისაკენ მიდრეკილი პირი, უნდა მივიღოთ იდეაფიქსად, თუ გვინდა ჩამოყალიბდეს გამართული სოციალური სივრცე, ქვეყანა და მოსახლეობამ იცხოვროს დემოკრატიულ ქვეყანაში. ამის მთავარი დასაყრდენი კი, განხილული სოციალური სახელმწიფოს პრინციპია, როდესაც სახელმწიფო ზრუნავს თავის მოქალაქეებზე, ეხმარება მათ ეკონომიკური სიდუხჭირის დაძლევასა და ფინანსური პრობლემების მოგვარებაში. დანაშაულის ძირითადი შემთხვევები ხომ სწორედ უმუშევრობის, უკიდურესი გაჭირვების და პრობლემების ფონზე ხდება. არ შეიძლება მივიჩნიოდ ნორმალურ მოაზროვნედ ის ადამიანი, რომელიც იტყვის, რომ სოციალურად და ფინანსურად გამართული ადამიანი ადგება და ჩაიდენს ქონების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს, როგორიცაა ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, იგივე ქრთამის მიცემა, აღება. თუ გამართული სოციალური სახელმწიფო გაქვს, მოქალაქე არ იფიქრებს დანაშაულის ჩადენაზე და კანონმორჩილი იქნება. სოციალური სახელმწიფოსთან ერთად დიდია სამართლებრივი სახელმწიფოს როლიც, როდესაც კანონი უნდა კანონობდეს და მოახდინოს პრევენცია, ამასთანავე უზრუნველყოს სამართლიანი სასჯელის გზით დამნაშავის რესოციალიზაცია. მოსამართლემ, სასჯელის დანიშვნის დროს, ისევე როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსშია მითითებული, უნდა გაითვალისწინოს ყველა ის გარემოება, პიროვნული მახასიათებლები, გარე და შიდა ფაქტორები, რის გამოც

დამნაშვე განსასჯელის სკამზე ზის და ელოდება სახელმწიფოსაგან დაცვას, რომელიც უნდა გამოიხატოს ისეთ სასჯელში, რომ მან იგრძნოს მისი ქმედების დანაშაულებრიობა და მოინანიოს იგი.

რესოციალიზაციის პროცესში გარკვეულწილად კარგიც და ცუდიც არის ამნისტია და შეწყალება, როდესაც სახელმწიფო, პრეზიდენტი, პარლამენტი მსჯავრდებულებს აძლევს მეორე შანსს. როდესაც შენ ახდენ პირის სასჯელისაგან გათავისუფლებას, ყველაზე თვალსაჩინო და კარგი მაგალითი- თავისუფლების აღკვეთისაგან, პატიმრობისაგან, მას უნდა დაახვედრო ისეთი პირობები, რომ ხელი აიღოს კრიმინალურ ცხოვრებაზე და რეციდივის შემთხვევებმაც იკლოს. ბოლო წლების სტატისტიკით, უამრავი ამნისტირებული და შეწყალებული მსჯავრდებულის ფონზე, კრიმინალის დონის მომატება არ უნდა მივიჩნიოთ საგანგაშო ფაქტად, რადგან ეს მოვლენა ფაქტი იყო, როდესაც უმუშევრობის დონით ერთ-ერთ უპირველეს სახელმწიფოში პატიმრობისაგან გათავისუფლებული პირი ვერც სამსახურს შოულობს და ვერც შემოსავალს. გარიყულია გარკვეული პირებისაგან, რომლებსაც მისი, თუნდაც უმნიშვნელო დანაშაულის გამო განდევნილად აცხადებენ და მას საშიშად თვლიან. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ეტიკეტირების წინააღდეგ „ბრძოლა“. ნასამართლობა, რომელიც პირს რჩება სასჯელის მოხდის ან მისგან დროზე ადრე გათავისუფლებისას, არის უმთავრესი ფაქტორი ეტიკეტირებისა. ასეთი პირები ვერ იწყებენ სამსახურს, ვერ იფუძნებენ თავს საზოგადოებაში და მათი მზერა კვლავ დანაშაულისკენ არის მიდრეკილი. ამიტომ, სახელმწიფომ, რესოციალიზაციის პროცესის სრულყოფისათვის უნდა იზრუნოს სამოქალაქო განათლებაზე, ხალხის აღზრდაზე, რომ სასჯელმოხდილ პირს უკვე შეცნობილი აქვს მისი ქმედების ავკარგობა და ინანიებს მას, და აღარ არის საჭირო მისი გაკიცხვა. აგრეთვე სხვადასხვა პროგრამებსა და აქტივობებზე, რაც უზრუნველყოფს რესოციალიზაციის, როგორ სასჯელის უმთვრესი მიზნის შესრულებას.

გამოყენებული ლიტერატურა

სამეცნიერო და პერიოდული ლიტერატურა

1. აბაშიძე ნ., დამნაშავის რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი, სტატია, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი, თბილისი, 2015;
2. არსოშვილი გ, მიქანაძე გ, შალიკაშვილი მ. პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015;
3. ბეკარია ჩ., დანაშაულისა და სასჯელისათვის, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ , თბილისი, 2003;
4. გაბუნია მ, კრიმინოლოგიური შეხედულებანი სამართლიანობასა და სამართალზე, გურამ ნაჭყებია - 75, საიუბილეო კრებული, რედ. ნონა თოდუა, თბილისი, 2016;
5. დაუთაშვილი პ., სასჯელის მიზნის რესოციალიზაციის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნალი „სამართალი'' №6-7, თბილისი, 2000;
6. დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013;
7. ვარძელაშვილი ი, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და სასჯელის მიზნების ურთიერთმიმართების პრობლემა, სამართლის ჟურნალი №2, თბილისი, 2013;
8. ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, სამეცნიერო ნაშრომი, თბილისი, 2016;
9. კობახიძე ი, სამართლებრიცი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, სამართლის ჟურნალი №1, 2013;
10. ლეკვეიშვილი მ, არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011;
11. ლეკვეიშვილი მ, სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №4, 2014, თბილისი, 2014

12. მამულაშვილი გ, ერთიანი დანაშაული და დანაშაულის სიმრავლე, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო(მეორე გამოცემა), ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2016;
13. მახარობლიძე თ, შინაპატიმრობა, როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში, გურამ ნაჭყებია - 75, საიუბილეო კრებული, რედ. ნონა თოდუა, თბილისი, 2016;
14. მახარობლიძე თ., ელექტრონული ზედამხედველობა, როგორც შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი იუვენალურ იუსტიციაში, მაია ივანიძე - 50 , საიუბილეო კრებული, თბილისი, 2017
15. მაჭარაშვილი ზ, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეური მეტამორფოზები, სახელმწიფო სამართალი (III), თბილისი, 2001;
16. მეტრეველი ვ, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2003;
17. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, ელექტრონული ზედამხედველობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016;
18. ნაჭყებია გ, სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრებისა და თავისუფლების უვადო აღკვეთის მიმართების პრობლემა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, 2013;
19. ნაჭყებია გ, საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის მეთოდოლოგიური პრობლემები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016;
20. ნიკოლეიშვილი კ, პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განმხილველი ადგილობრივი საბჭოს საქმიანობის შესაბამისობა სამართლიანი სასამართლოს სტანდარტთან (ზოგიერთი საკითხის ანალიზი), სამართლის ჟურნალი №2, 2014;

21. ჭეიშვილი ნ., რესოციალიზაციის პოლიტიკა საქართველოში, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი, სტატია, თბილისი, 2014;
22. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, მერაბ ტურავა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011;
23. ტურავა მ., სისხლის სამართლი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა; გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013;
24. ქელბაქიანი ა, კრიმინალური სუბკულტურა; მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე , მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2014;
25. შალიკაშვილი მ, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბილისი, 2013;
26. შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016;
27. შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2011;
28. წულაია დ, მონანიება, როგორც დამნაშავის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის უმთავრესი ფაქტორი, მართლმსაჯულება და კანონი №3, თბილისი, 2013;
29. ცქიტიშვილი თ, სასჯელის პროპორციულობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, სამეცნიერო სტატია, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016
30. ჯანაშვილი ლ, სამართლებრივი უსაფრთხოება, როგორც სამართლის ძირითადი ფუნქცია და სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პრინციპი, სამართლის ჟურნალი №1, თბილისი, 2011;

უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა

31. Albert Alschuler, The Changing Purposes of Criminal Punishment: A Retrospective on the Last Century and Some Thoughts about the Next, University of Chicago Law School, 2003
32. Banks C, The Purpose of Criminal Punishmant, Criminal justice ethics : theory and practice, 2004
33. Materni Mike C., Criminal Punishment and the Pursuit of Justice, 2013
34. Van Ginneken E, The pain and purpose of punishment: A subjective perspective, 2016
35. Lippman M, Contemporary Criminal Law; concepts, cases, and controversies, second edition. Washington D.C., 2010,
36. Frase R.S, Punishment Purposes, Standford University, 2005
37. J. Skelly Wright, The Need for Education in the Law of Criminal Corrections, Valparaiso University Law Review, 1967
38. Крылова Н., Серебренникова А. Уголовное право зарубежных стран (Англии, США, Франции, Германии), 1997

ნორმატიული მასალა

39. საქართველოს კონსტიტუცია (1995)
40. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (1999)
41. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2009)
42. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვეცია (1999)
43. საქართველოს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ (2007)
44. საქართველოს კანონი „ამნისტიის შესახებ“ (2012)
45. საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“ (2010)

საქართველოს უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილებები

46. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, №527ა3-17, 20 თებერვალი, 2018
47. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმეN2კ-367ა3-17 2017 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება
48. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. №1/3/407, 26 დეკემბერი, 2007 წელი

ვებგვერდები და ელექტრონული ლიტერატურა

49. „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, https://matsne.gov.ge/ka/document/view/21610[05.05.19]
50. სტატისტიკა: http://police.ge/files/pdf/vizitorebi/2017/2018%20დანაშაულის%20სტატისტიკა/ianvar-ebervaliსაქართველოს%20ყველა%20საგამოძიებო%20უწყება%20%28იანვარ-თებერვალი%202018%20წ.%29.pdf[09.05.19]
51. პატიმრობის კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612[10.05.19]
52. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=19213[25.04.19]
53. http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5308[25.04.19]
54. Institute for criminal policy research; http://www.prisonstudies.org/country/georgia [26.04.19]